ლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 21
(11 887)

22 – 24 მარტი, 2005 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

რაფაელ ჩიმიშკიანს!

ბატონო რაფაელ,

ხვალ, 23 მარტს თქვენი დაბადების დღეა. საქართველოს სპორტის დეპარტამენტისა და პირადად ჩემი სახელით მინდა გულწრფელად მოგილოცოთ ეს ღირსსახსოვარი დღე. თქვენი სახელი და წარმატებები, რომელიც მოუტანეთ საქართველოს, ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენი ქვეყნის სპორტის ისტორიაში. 1952 წელს ჰელსინკში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში თქვენს მიერ მოპოვებულმა ოქროს მედალმა მისცა მძლავრი სტიმული ჩვენში ძალოსნობის განვითარებას და თაობების ახალ წარმატებებს როგორც ოლიმპიურ, ისე მსოფლიო და ევროპის სარბიელზე. თქვენ ორჯერ მოიპოვეთ მსოფლიო ჩემპიონობა, გახდით ევროპის ექვსგზის ჩემპიონი, ხუთჯერ იყავით სსრ კავშირის ჩემპიონი, რვაჯერ დაამყარეთ მსოფლიოს რეკორდი, 10 წელიწადი იყავით სსრ კავშირის ნაკრების წევრი. გვეამაყება, რომ დღესაც გულმხურვალედ და ენერგიულად ემსახურებით ოლიმპიური სპორტის პროპაგანდას სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, თქვენი და თქვენი მეგობარი ქართველი ოლიმპიელი გმირების სტუმრობით მოზარდ თაობას აძლევთ პატრიოტიზმის ბრწყინვალე მაგალითს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ ყოველივე სიკეთეს.

დავით ნაგმალაური,
საქართველოს სპორტის
დეპარტამენტის თავმჯდომარე.

მილოცვები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს საქართველოდან ძალოსნობაში პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს (1952), მსოფლიოს რვაგზის რეკორდსმენს, მსოფლიოს, ევროპის და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **რაფაელ ჩიმიშკიანს.**

* * *

ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" დაბადების დღეს ულოცავს ვეტერან დინამოელს, ოლიმპიურ ჩემპიონს ძალოსნობაში, მსოფლიოს, ევროპის და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს და მსოფლიოს რვაგზის რეკორდსმენს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **რაფაელ ჩიმიშკიანს.**

* * *

„ლელო" უერთდება ამ მილოცვებს.

შემოვდივართ წინადადებით

ქალებს რა ვუწოდოთ?

კარგია, რომ საქართველოში დაწესდა „ქართული სპორტის რაინდის" საპატიო წოდება. არ ვიცი, თავიდან დაფიქრდნენ თუ არა იმაზე, რომ გვყავნან სახელოვანი სპორტსმენი ქალები, რომლებიც ასევე იმსახურებენ დაფასებას უმაღლესი წოდებით. რა ვქნათ? უხერხულია ქალს ვუწოდოთ „ქართული სპორტის რაინდი", ამიტომ შემოვდივარ წინადადებით ქალებისთვის დავაწესოთ წოდება „ქართული სპორტის დედოფალი".

თქვენ რას იტყვით? იქნებ სხვამ უკეთესი რამ მოიფიქროს. ვიმსჯელოთ!

ბიჭიკო მაჩაბლიშვილი,
თბილისის მერიის სპორტის
საქალაქო სამსახურის №8 სასპორტო
სკოლის დირექტორი.

მილოცვა



ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია, ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური, გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის ოლიმპიური რეზერვის სასპორტო სკოლა დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავენ ღვაწლმოსილ მწვრთნელ-მასწავლებელს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, შრომის ვეტერანს, რესპუბლიკის კატეგორიის მსაჯს **გიორგი გიუტაშვილს.**

ვენა – ბოლო იმედი...

თითქოს დიდი არაფერი სხვაობაა 24-ე და 25-ე ადგილს შორის, მაგრამ ფიგურულ სრიალში მოასპარეზე ზამთრის ოლიმპიადის ლიცენზიის მაძიებლებისთვის იგი ძალიან ბევრს ნიშნავდა და, ასე ვთქვათ, მწვანე შუქის ტოლფასი იყო 2006 წელს ტურინისკენ მიმავალ გზაზე. სამწუხაროდ, სწორედ 25-ე იყო და იმ 24-ში ვერ მოხვდა ჩვენი მოციგურავე **ვახტანგ მურვანიძე**, რომელიც ამ დღეებში მოსკოვში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ასპარეზობდა. როგორც ჩანს, ვახტანგს მთლად კარგად ვერ აეწყო საქმე აშშ-ში, სადაც ის ბოლო ერთი წელიწადია ვარჯიშობს, წონაშიც კი მოუმატია.

ასე რომ, ტურინის ლიცენზიისთვის ბრძოლა საოქტომბროდ გადაიდო, ვენაში მანამდე ხელმოცარულებს მიეცემათ ბოლო შანსის გამოყენების შესაძლებლობა. ვენაშივე ოლიმპიადის ლიცენზიისთვის იბრძოლებს **ელენე გედევანიშვილიც**, რომელიც ფიგურულ სრიალში საოლიმპიადო მოთხოვნისთვის უკვე სრულწლოვანი — 15 წლისა ხდება.

კოეფიციენტი – მსაჯული



თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც იმავდროულად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ეტაპიც იყო. დებულების თანახმად, პირველ ადგილზე გასულ მოჭადრაკეს მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლება ეძლეოდა, მეორეადგილოსანი კი ევროპის ჩემპიონატის საგზურის მფლობელი ხდებოდა. ამ დებულებამ ტურნირს ინტრიგაც შემატა.

გოგონათა შორის უძლიერესი იყო **მაკა ფურცელაძე,** რომელმაც ჩემპიონის ტიტული ერთი ტურით ადრე გაინაღდა. საბოლოოდ, მაკამ 9 შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოაგროვა და უახლოეს მდევრებს — **ნინო ბაციაშვილსა** და **მირანდა მიქაძეს** ქულანახევრით გაუსწრო.

ბაციაშვილს მიქაძეზე უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა, ამიტომ მეორე ადგილიც და ევროპის პირველობის საგზურიც მას ხვდა წილად.

ვაჟთა შორის გამარჯვებული კოეფიციენტმა გამოავლინა. 7-7 ქულა მოაგროვეს **თორნიკე სანიკიძემ** და **შოთა აზალაძემ.** პირველობა სანიკიძეს მიეკუთვნა. მესამე ადგილზე 6,5 ქულით **დავით ზარქუა** გავიდა. ამდენივე ქულა მოაგროვა **დავით მაღალაშვილმა,** თუმცა, მას უარესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა.

კოკაი: მოგება – ხუთი, წაგება – ორი

სუმო

დროებითი წარუმატებლობის შემდეგ სუმოს ქართველმა ოსტატმა ლევან ცაგურიამ, რომელსაც სპორტის ამ იაპონური სახეობის სამყარო კოკაის (შეგახსენებთ, კოკაი შავ ზღვას ნიშნავს) სახელით იცნობს, მარტის ბაშოზე კვლავ ტოლს არ უდებს რჩეულებს. მეშვიდე შერკინებამდე კოკაის ხუთი გამარჯვება ჰქონდა ექვსიდან და კაიოსთან ერთად მეორე ადგილს იყოფდა, წინ კი ამ ბაშოზე ჯერ დაუმარცხებელი ასაშორიუ იყო.

მეშვიდე შეხვედრა კოკაის ჰქონდა დასავლეთის მერვე მაეგაშირა ტაკამისაკარი იყო. დავძენთ, რომ ჩვენებური აღმოსავლეთის მეოთხე მაეგაშირაა. ეს ორთაბრძოლა კოკაიმ წააგო. ეს ქართველის მეორე წაგებაა მიმდინარე ბაშოზე.

ძმური ოჯახიდან... მტრულ ოჯახამდე?

სათაურში გამოტანილი სიტყვები ჟურნალისტს არ ეკუთვნის. ხალხი ლაპარაკობს ასე, ხალხი კი ყოველთვის, ყველაფერში, და ყველა დროში რომ ბრძენია, ჩვენგან არავის ესწავლება.

საქართველოს საჭიდაო სამყაროში მიმდინარე პროცესებით ღრმადაა შეშფოთებული ჩვენი საზოგადოებრიობა. ბზარი საქართველოს მოჭიდავეთა ოჯახშიც გაჩნდა. ოჯახში, რომელიც ურთიერთსიყვარულით და ურთიერთის თანადგომით მტკიცდებოდა ათეული წლების განმავლობაში.

მარტივი ჭეშმარიტებაა — ნგრევა ადვილია. ამ პროცესის ყველაზე დიდი უბედურება კი იმაში მდგომარეობს, რომ მის შემოქმედ ადამიანებს ნოვატორებად მოაქვთ თავი და თითქოსდა დრომოჭმულს სიახლეს უპირისპირებენ. ჩვენმა ხალხმა მწარედ უკვე არაერთგზის იწვნია ამ პროცესის თანამდევი უბედურება.

საქართველოსთვის ყველაზე უმძიმეს წლებშიც კი, ჩვენი სპორტული სამყარო ძირითადად ერთიანი და განუყოფელი რჩებოდა. ძირითადადო, ვამბობთ, რადგან პატარ-პატარა შიდა უკმაყოფილებას და კონფლიქტებს სერიოზული ხასიათი არასდროს შეუძენია და ნგრევის სურვილი არავის არასდროს გასჩენია. მეტიც, მავანთა პირდაპირობა ზოგიერთს აფხიზლებდა კიდეც.

ვინც ქართული სპორტის შიდა პროცესებში კარგადაა ჩახედული და წარსულსაც იცნობს, დაგვეთანხმება, რომ საქართველოს მოჭიდავეთა ამქარი იყო ჩვენში ერთიანი სპორტული სამყაროსთვის მისაბაძი და სამაგალითო. რაინდული სულით დასახლებულ ფალავანთა ძმური ოჯახის მაღალი ზნეობა მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაში. ეს არ იყო პატარა საქმე. უნდა დავიჯეროთ, რომ იმ უმაღლეს და უთვალსაჩინოეს წარმატებებში, რაც მსოფლიო სარბიელზე მოუპოვებიათ ჩვენს სახელოვან ფალავნებს, უდიდესი დამსახურება სწორედ ამგვარ მემკვიდრეობითობასაც მიუძღვის. თაობებისთვის წინამორბედების კაცობაც იყო ის სულიერი საგზალი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ზნეობრივად ასაზრდოებდა მათ.

დიახ, ბოლო დროს საქართველოს მოჭიდავეთა ძმურ ოჯახში თავჩენილმა დაპირისპირებამ ერთიანად შეძრა, როგორც თვით ამ ოჯახის წევრები, ისე ფართო საზოგადოებრიობა, საერთოდ. გვერწმუნეთ, საქმე ძალიან სერიოზულადაა და საშიშ ფორმას იძენს. კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საქართველოს სპორტული დიდების (ცხადია, ძიუდოსთან ერთად) მსოფლიო არენაზე უპირველესი წარმომჩენის თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ბედი. ახლა თავს შევიკავებთ დეტალების განზოგადებისგან, არ გვინდა ვითარების უფრო გამწვავებას შევუწყოთ ხელი. ჩვენი მიზანი, პირიქით, ისაა, როგორმე წერტილი დაესვას ქართული სპორტისთვის მომაკვდინებელ დაპირისპირებას. საქართველოს უძველეს და მრავლის მნახველ სპორტულ გაზეთს მხოლოდ რჩევა შეუძლია ავისმომასწავებელი დაძაბულობის განსამუხტავად. ვფიქრობთ, რაინდებით და კაცთმოყვარეობით გამორჩეულ საქართველოს მოჭიდავეთა სახელოვან თემს შესწევს უნარი გვერდზე გადადოს პირადი ამბიციები ქართული სპორტის სასიკეთოდ. გამოსავალი ცივილურ და იურიდიულად გამართლებული ნაბიჯის გადადგმაშია მხოლოდ. ფედერაციას აქვს თავისი წესდება და მხოლოდ მისი მოთხოვნების შესაბამისად უნდა დარეგულირდეს დაძაბული ვითარება. მაგალითად, გაუგებარია, რატომ არ სურს ფედერაციის წევრებს მოიწვიონ რიგგარეშე ყრილობა, სადაც მარტივ ჭეშმარიტებამდე დავა ყველაფერი და მოიხსნება კითხვის ნიშნები. ყრილობა განსჯის, დაადგენს და უმრავლესობის გადაწყვეტილების ნებას დაემორჩილება უმცირესობა. აი, ამის შემდეგ უნდა ეახლოს ყველა ერთად საქართველოს მოჭიდავეთა სამყაროს ზნეობრივი გმირის გივი კარტოზიას საფლავს, რაც იმის დასტური იქნება, რომ ამიერიდან ყველანი ისეთივე სიყვარულით და დიდბუნებოვნობით მოეკიდებიან ერთმანეთს, როგორც მათ ეს უანდერძა თავისი ცხოვრების მაგალითით დიდმა გივი კარტოზიამ.

წერილის სათაურში კითხვის ნიშანი დავსვით იმ იმედით, რომ მოვლენათა განვითარებამ არამც და არამც არ უნდა აქციოს მოჭიდავეთა ძმური ოჯახი მტრულ ოჯახად...

„რამდენი წლისაა ქართული ფეხბურთი"?

გამოხმაურება

ამ რუბრიკით „ლელომ" გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი, რასაც არაერთი გამოხმაურება მოჰყვა. მე ყველა მასალა წავიკითხე, მაგრამ ცოტა, არ იყოს, მეტოშა. რატომ? იმიტომ, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ ადრე, 45 წლის წინათ, 1960 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ამირან ცამციშვილმა დაადგინა წიგნში „ფეხბურთი საქართველოში", რომელიც მაშინ თითქმის 7000 ტირაჟით გამოსცა საზოგადოება „ცოდნამ". როგორც მკვლევარი ასაბუთებს, პირველად ინგლისური ფეხბურთი ჩვენში ინგლისელებმა ქალაქ ბათუმში 1894 წელს ითამაშეს. როგორც ამირან ცამციშვილი საარქივო მასალაზე დაყრდნობით გვამცნობს, მაშინ, ე.ი. 1894 წელს, ბათუმელ ლელობურთელებს ინგლისელები თამაშისას ჩაერთნენ, მაგრამ მათ გასაკვირველად, რაღაც სხვაგვარი ლელობურთი ანუ თავიანთი ფეხბურთი გააჩაღეს. სხვათა შორის, იდენტური საარქივო მასალები მე მინახავს როგორც თბილისის, ასევე ბათუმის არქივებშიც. აღნიშნულ წიგნზე წერილი მე საკავშირო პრესაში, რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე გამოვაქვეყნე, მაგრამ ამას არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია. მაშინ ჩვენი წამოწყებული საქმე მოსკოვის მედიამ აინუნშიაც არ ჩააგდო.

ქართული ფეხბურთის დიდ მოამაგეს ნოდარ ახალკაცს განზრახული ჰქონდა საუკუნოვანი ქართული ფეხბურთის იუბილეს გადახდა, მაგრამ წინა საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, რა თქმა უნდა, ხელი შეუშალა. ნოდარ ახალკაცს საიუბილეოდ გრანდიოზული გეგმა ჰქონდა მოფიქრებული. ქართული ფეხბურთის 100 წლის იუბილე მთელ საქართველოში ნოემბრის თვის დასაწყისში უნდა ჩატარებულიყო. აუცილებლად უნდა მოეწვიათ ოფიციალური პირები ფიფადან და უეფადან. აგრეთვე უნდა მოეწვიათ სტუმრები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან და სხვა ქვეყნებიდან. ზეიმი ბათუმში უნდა დაწყებულიყო ფეხბურთში ამხანაგური შეხვედრით და საზეიმო სხდომით. მეორე დღეს მსგავსი ღონისძიება ფოთში უნდა ჩაეტარებინათ. დიდი ზეიმის ზენიტი თბილისში იყო დაგეგმილი: სპორტის სასახლეში — საზეიმო სხდომა და ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე — საქართველოსა და გერმანიის ეროვნული ნაკრებების შეხვედრა. გამარჯვებულს ძვირფასი პრიზი „ოქროს საწმისი" გადაეცემოდა. ზეიმის მონაწილეებს სამახსოვრო მოვერცხლილი მედალი უნდა გადასცემოდა. მედალს ერთ მხარეზე ექნებოდა ასეთი წარწერა „ქართული ფეხბურთი 100 წლისაა". მის მეორე მხარეზე ბორის პაიჭაძის პორტრეტი უნდა ყოფილიყო. ეს ყველაფერი ისტორიას ჩაბარდა. ახლა ეს

იხ. მე-3 გვ.

კალათბურთი | ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

„თუჯმა" სიმტკიცე გამოავლინა

ჩემპიონატის განვლილ ტურში, გასულ კვირას, ცენტრალურ მატჩად „თუჯი" — „დინამოს" რუსთავური პაექრობა სახელდებოდა. თბილისელებს მოგების შემთხვევაში საგრძნობლად შეეძლოთ შანსების გაუმჯობესება, მაგრამ მასპინძლებმა ვაჟკაცურად გამოიდეს თავი, დათქვეს მოვიგებთო და შეასრულეს კიდეც სიტყვა. თავიდან „დინამო" დაწინაურდა 20:18, მაგრამ მეორე მეოთხედში რუსთაველებმა მთელი 12 ქულით სძლიეს მეტოქეს 32:20, რითაც საბოლოო გამარჯვების მყარი საფუძველი შეიქმნეს. მერე „დინამომ" კვლავ მოიგო 24:21, ბოლო პერიოდი კი სულაც ფრედ 20:20 დაასრულა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, მასპინძლებმა 91:84 გაიმარჯვეს.

დანარჩენი შეხვედრებიდან მეტნაკლები დაძაბულობა იყო მოსალოდნელი „მაქაბი" — თსუ-ს მატჩში. უნივერსიტეტელების პრობლემები ყველასათვის კარგადაა ცნობილი. თამაშის ხალისი ბიჭებს მართალია, დაკარგული აქვთ, მაინც ღირსების საქმედ მიიჩნიეს თანაქალაქელებთან პრინციპული მატჩი ეთამაშათ. „მაქაბი" დამარცხდა — 80:86 (23:31, 20:25, 19:13, 19:17). სოხუმის უნივერსიტეტის გუნდმა ლიდერთან სტუ-სთან 33 ქულის სხვაობით წააგო — 70:103 (18:30, 12:31, 19:22, 21:20).

სტუ	24	21	3	+500	45
ავიამშენი	24	20	4	+498	44
დინამო	24	18	6	+468	42
თსუ	24	14	10	+225	37
თუჯი	24	13	11	+135	37
მაქაბი	24	5	19	-487	29
ბურჯი	24	3	21	-487	27
სსუ	24	2	22	-740	26

ხელბურთელთა მსოფლიო შესარჩევი

ჩვენი ქვეყნის ხელბურთის ახალგაზრდული ნაკრები პოლონეთის ქ. ობორნიკში მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში იასპარეზებს მასპინძლებთან, ფრანგებთან და რუსებთან ერთად. თამაშების განრიგი ასეთია:

24.03. პოლონეთი — **საქართველო,**
25.03. **საქართველო** — საფრანგეთი,
26.03. რუსეთი — **საქართველო.**

შინ ჩინებული მონაგრით...



უხმაუროდ დიდი საქმის მკეთებელი მწვრთნელ, ძიუდოისტთა თაობების აღმზრდელის **ჯემალ ნათელაშვილის** ამჟამინდელმა შეგირდებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ საქართველოს ძიუდოისტთა საიმედო ცვლა ეზრდება. მალტაში გამართული ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი ქართველთა ტრიუმფით დასრულდა. ნაკრები შინ მედლით დაბრუნდა, თანაც შვიდივე მედალი ფინალშია მოპოვებული. გადამწყვეტ პაექრობაში უძლიერესის სახელი მოიპოვეს **რობერტ მშვიდობაძემ** (55), **თენგიზ პაპოშვილმა** (60), პაპოშვილი ზედა წონაშიც პირველი იყო, **დავით კარბელაშვილმა** (81), **ადამ ოქრუაშვილმა** (პლუს 100 და აბსოლუტური) ვერცხლის მედალი წილად ხვდათ **სერგო ციხელაშვილს** (66), **გივი დემეტრაშვილს** (73) და **გიორგი დუღაშვილს** (90).

ახლა წინ საქართველოს ჭაბუკთა პირველობაა, რის შემდეგ ნათელაშვილის შეგირდები ივნისში თანატოლთა შორის კონტინენტის პირველობაზე, ივლისში კი ევროპის ზაფხულის ოლიმპიურ ფესტივალზე იასპარეზებენ.

ანონსი

ფეხბურთში საქართველოსა და საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებებს შორის 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩთან დაკავშირებით სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი წარმოგიდგენთ მკვლევარ **ზურაბ ჯავახაძის** ვრცელ ნარკვევს — **„საქართველოში მცხოვრები ბერძენი სპორტსმენები".**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში შემსვლელთა საყურადღებოდ!

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში შემსვლელმა აბიტურიენტებმა 2005 წლის 10 აპრილამდე აუცილებლად უნდა გაიარონ რეგისტრაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების ნებისმიერ რაიონულ ცენტრში, რათა მიეცეთ მისაღებ გამოცდებში მონაწილეობის უფლება. ის აბიტურიენტები, რომლებიც 10 აპრილამდე იმყოფებოდნენ შეკრებაზე ან შეჯიბრებაზე, ან სხვა საპატიო მიზეზით ვერ მოასწრეს რეგისტრაცია, შეუძლიათ მიმართონ მორიგე სარეგისტრაციო პუნქტს თბილისში, შემდეგ მისამართზე: ტოვსტონოგოვის ქ №2, მიმდინარე წლის 15 ივნისამდე.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

„რამდენი წლისაა ქართული ფეხბურთი“?

პირველი გვერდიდან

საინტერესო და აუცილებელი ღონისძიების ჩატარება ხელს შეუწყობს ჩვენში ფეხბურთის განვითარებას. ეს, რა თქმა უნდა, უახლოეს ორ-სამ წელიწადში ვერ მოხერხდება, მაგრამ ამაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აუცილებლად უნდა იფიქროს.

დასასრულ, მკითხველთა ზოგიერთი წინადადების შესახებ. ერთი მკითხველი საინტერესო აზრს გვაწვდის: რადა ინგლისელებს ესესხებით ფეხბურთის თამაშს, გურიაში ერთ-ერთ ძველ თამაშს „ფეხწაკვრიეს“ რომ ეძახდნენ, იგი უფრო იქნება ფეხბურთის წინამორბედიო. დიდი მადლობა თქვენ „ფეხწაკვრიეს“ გახსენებისთვის. მე კი ჩემდათავად თქვენ შეგახსენებთ აღმოსავლეთ გურიის ერთ თამაშს: „გატან-ბულთს“, (დიახ, ბულთი, კორექტურა არ გეგონოთ), ორივე ეს ერთი და იგივე – ლელოს თამაშია და სხვა არაფერი. ეს მე დაფიქსირებული მაქვს წინა საუკუნის 60-იან წლებში სოფლებში: ჯვარცმაში, ინტაბუეთში, ერკეთში, ზემოხეთში, ბუკისციხეში და სხვაგან. მთავარია, მკვლევარმა დაადგინა, რომ ფეხბურთი პირველად საქართველოში ინგლისელმა მეზღვაურებმა ითამაშეს ქალაქ ბათუმში 1894 წელს. ამ დროს ბათუმი მძლავრი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ერთ-ერთი საპორტო ცენტრი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქედან გადიოდა ყოველდღიურად ასობით ტონა ბაქოს ნავთი. სულ მალე იმავე პერიოდში ფეხბურთი ინერგება ფოთშიც, შემდეგ იგი მასობრივად ვრცელდება თბილისსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. ასე რომ, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთვის ყველაფერი გარკვეულია. მხოლოდ ის დაგვრჩა, რომ მადლობა მოვახსენო მხცოვან მეცნიერს, პროფესორ ამირან ცამციშვილს გაწეული შრომისათვის.

დურმიშხან ცინცაძე

ღია წერილი

ქ. თბილისის მერს ბ-ნ. ზურაბ ჭიაბერაშვილს
ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ბ-ნ. ზაზა ბეგაშვილს
ქ. თბილისის პრემიერს ბ-ნ. თემურ ძურხულს
გაზეთ „ლელოს“ რედაქტორს ბ-ნ. თენგიზ გაჩეჩილაძეს
გაზეთ „თბილისის“ რედაქტორს ბ-ნ. იოსებ ჭუმბურიძეს

ჩვენ, სპორტის გულშემატკივრები, დამსახურებული მუშაკები, სპორტსმენები, ვეტერანები, თბილისის რაიონების სხვადასხვა უბნებში მცხოვრები მოქალაქეები, ბაღებსა და სკვერებში, ღია მარტივ სპორტულ მოედნებზე, სამოყვარულო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებლ ჯგუფებში და ინდივიდუალურად მოვარჯიშეები, ვისაც ჩვენს დედაქალაქში მასობრივ-ფიზკულტურული გამაჯანსაღებელი მუშაობის მნიშვნელობა ესმის, მოგმართავთ ქალაქის ხელმძღვანელებს, თქვენ, ვინც მოწოდებული უნდა იყოთ, იზრუნოთ თქვენი თანამოქალაქეების, თბილისელების ჯანმრთელობაზე, გადაარჩინეთ ჩვენი მომავალი თაობა.

თქვენი ხელშეწყობით შენდება და მშვენდება ქალაქი, მაგრამ რისთვის გვინდა ეს ყველაფერი თუ ჯანმრთელი თანამოქალაქეები არ გვეყოლება. ამ საქმეს ვერ უშველის ქალაქში გახსნილი მომრავლებული სხვადასხვა სააფთიაქო ქსელები, მით უმეტეს წამლის ან მკურნალობის თანხაც არ გააჩნია ხალხს. აბა, დავფიქრდეთ, რატომ არის ასე მომრავლებული ნარკომანები, ლუკმა-პურის საშოვნელად ქუჩებში გამოსული მაწანწალა ბავშვები, ქურდბაცაცობა. რით ვპასუხობთ ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაზე ხელისუფლების დევიზს? ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დროული უნდა იყოს სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის და მასობრივი ფიზკულტურის რეაბილიტაცია. მაგრამ, რა?! ვისაც ეს უნდა ეკეთებინა, თურმე აღარ ყოფილა საჭირო... უკვე რამდენი ხანია თბილისის რაიონებში მოქმედი სპორტული სტრუქტურა, ქართული სპორტული მოძრაობის ეს შუალედური რგოლი მასობრივსა და დიდ სპორტს შორის, აღარ არსებობს შტატების შემცირებასთან დაკავშირებით.

ქართული სპორტული მოძრაობის საწყის ეტაპზევე შეიქმნა რაიონების და ქალაქების სპორტკომიტეტები, შემდეგში უკვე სხვა დასახელებით, მაგრამ იგივე ფუნქციის მატარებელი ორგანიზაცია, რომელიც მართლაც უდიდეს საქმეს აკეთებდა და ენთუზიაზმის, თავისი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების წყალობით დღესაც ახერხებს სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ჩატარებას, მაგრამ, როდემდე.

ჩვენი აზრით, თბილისის თითოეულ რაიონში სპორტის კოორდინატორის შტატის აღდგენა (როგორც ეს 2000 წლამდე იყო) დიდად დაეხმარება საქმეს.

გვინდა ვირწმუნოთ, თქვენ ეს კარგად გესმით და მოგმართავთ თხოვნით, რათა თბილისის რაიონების გამგეობების აპარატში აყვანილ იქნას თითო სპორტული მუშაკი (კოორდინატორი), რაც გააუმჯობესებს და გამოაცოცხლებს სპორტულ მოძრაობას ადგილებზე.

მიმართვას ხელს აწერენ ოლიმპიური ჩემპიონები დ. ციმაკურიძე, მ. ჯუღელი, რ. ჩიმიშკიანი, რ. შავლაყაძე, გ. ასანიძე, ვეტერანი სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტის მუშაკები, ფედერაციების პრეზიდენტები, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, მშობლები, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები... სულ 70-მდე ხელმოწერა.

ლოტკინის «გეორგია»

დღეს თბილისში, ალბათ, აღარ მოიძებნება უბანი ბავშვთა საფეხბურთო გუნდით, მეტიც, გუნდებით თავს რომ არ იწონებდეს. მათ ხშირად ვხედავთ ჭაბუკთა სხვადასხვა ტურნირებში. ბოლო ხანებში ლოტკინელთა გუნდმა ,,გეორგიამ'' გაითქვა სახელი თანატოლებში (მწვრთნელები დ. უნგიაძე და თ. საბაძე). ამას წინათ, 15 გუნდის მონაწილეობით გამართულ ტურნირში ლოტკინელებმა ფინალში გააღწიეს და მხოლოდ დაძაბულ ბრძოლაში დათმეს პირველობა ვახტანგ კოპალეიშვილის შეგირდებთან ,,ნორჩ დინამოელთან''. ტურნირში ყველაზე მეტი გოლი სწორედ ,,გეორგიას'' თავდამსხმელმა გ. კვაჭაძემ გაიტანა. საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი ამ გუნდის მოთამაშეს ხ. ნადოიანს ხვდა წილად.

სურათზე: ლოტკინის ,,გეორგია''. მარცხნიდან — I რიგში: რ. ლაზარიაშვილი, გ. ტეტუნაშვილი, ს. ჩილაძე, გ. გოგიბერიძე, ა. ხიზანიშვილი, გ. კვაჭაძე, გ. გაბაძე, გ. გოგიშვილი, ლ. ლომსაძე; II რიგში: თ. საბაძე (მწვრთნელი), ხ. ნადოიანი, მ. თუთიაშვილი, თ. ნათიმანიძე, გ. მელქაძე, დ. ფარაჯანიშვილი, მ. კვაჭაძე, რ. ჯილდოიანი, ბ. ჯინჭარაძე, მ. ქოქიაშვილი, დ. უნგიაძე (მწვრთნელი);

ფოტო რობერტ ბაგოიანისა.

მეომრის ხსოვნის ტურნირი

აფხაზეთში გმირულად დაღუპულ იური ომანიძის ხსოვნის მეორე ტურნირს, რომელიც ომის ვეტერანთა და ინვალიდთა კავშირის (თავმჯდომარე ზ. შამუგია) თაოსნობით ჩატარდა, დიღმის მასივის საჭიდაო კომპლექსმა უმასპინძლა. ხალიჩაზე გამოვიდა 1991-1993 წლებში დაბადებული 340 ნორჩი ფალავანი.

კვარცხლბეკი. 26 კგ: 1. გ. გელაშვილი, 2. ხ. გოგოლაძე (ორივე — ხაშური), 3. ა. მაჰმედოღლი (ქარელი) და ა. მოდოსიანი (გორი); **29 კგ:** 1. რ. შაკულოღლი (ქარელი), 2. ბ. ბუჯიაშვილი (გორი), 3. ა. სტურუა (სამტრ.) — და ი. მაღლაკელიძე (ბაღდ.); **32 კგ:** 1. დ. ბუზიაშვილი, 2. ა. მოწონელიძე (ორივე — ხაშ.), 3. ო. გოგავა (ხონი) და თ. ისლაიმოვი (მარნ.); **35 კგ:** 1. ლ. ქელეხსაშვილი (ხაშ.), 2. დ. ასტაფაცატუროვი (ხაბელოვის კლ.), 3. ლ. გოგოლაური (რუსთ.) და კ. გავაშელი (თედ. კლ.); **38 კგ:** 1. ლ. ხინჩიკაშვილი (გორი), 2. გ. ქავზინიძე (ხონი), 3. დ. ბასილაშვილი (კაზრ.) და გ. კოპაძე (გორი); **42 კგ:** 1. თ. ბედოშვილი (თედ. კლ.), 2. ნ. საათაშვილი (გორი), 3. ზ. ბეჟანიშვილი (სამტრ. ორს) და ვ. კალაძე (თედ. კლ.); **47 კგ:** 1. გ. ბობოხიძე (ხონი), 2. რ. ივანიშვილი (შევარდ.), 3. მ. ღვინიაშვილი (თედ. კლ) და ნ. ოროჯიევი (მარნ.); **53 კგ:** 1. მ. კახიძე, 2. თ. ოდიშელიძე, 3. მ. მამფორია (სამივე — თედ. კლ.) და თ. ჩოჩიშვილი (გორი); **57 კგ:** 1. დ. გალეგაშვილი (გორი), 2. გ. ნამგალაძე (რუსთ.), 3. დ. ნავროზაშვილი (მარნ.) და გ. ასლანიშვილი (თედ. კლ.); **66 კგ:** 1. ო. ურატაძე (ქუთ), 2. ა. შარაძე, 3. ჯ. ტყეშელაშვილი (ორივე — თედ. კლ.) და ჯ. ყალიძე (თედ. კლ.); **73 კგ:** 1. ე. ოდიკაძე (აფხაზეთი, თედ. კლუბი) — ამ მოჭიდავეს გადაეცა ომანიძის ხსოვნის პრიზი, 2. კ. გარუჩავა (სამტრ. თედ. კლ), 3. გ. სტეფანია (ხაშ.) და ი. უძილაური (საჩხ.); **+73 კგ:** 1. ო. ჰუაძე (შევარდ.), 2. ლ. ბერიანიძე (თედ. კლ.), 3. ა. სიდამონიძე (შევარდ.) და ვ. იმერლიშვილი (რუსთ.).

ბ. ბაბროძე

სურათზე: ტურნირის რჩეულები ორგანიზატორებთან ერთად.
ფოტო რობერტ ბაგოიანისა.

სოფ. გამარჯვებიდან — სარბიელზე გამარჯვებამდე

ქვემო ქართლში ჭიდაობა განსაკუთრებით გამოცოცხლდა, რაც აქ ამ 2,5 წლის წინათ გარდაბნის რაიონის სოფ. გამარჯვებაში თავისუფალი სტილის ჭიდაობაში, ბავშვთა ჯგუფებს ადგილობრივი სკოლის (დირექტორი გ. ნათენაძე) ბაზაზე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნუგზარ გაჩეჩილაძე ჩაუდგა სათავეში. 75 მოზარდი გულმოდგინედ მეცადინეობს და ბევრმა მათგანმა უკვე ისახელა კიდეც თავი თანატოლთა შორის სხვადასხვა შეჯიბრებაში. ამ დღეებში რუსთავში 1988-1989 წლიანებისთვის გამართულ ქვემო ქართლის პირველობაში ნ. გაჩეჩილაძის შეგირდებიდან ოთხი პირველ ადგილზე გავიდა, სამი — მეორე, და კიდევ ოთხი მესამე პრიზიორი გახდა.

— სოფელში და რაიონში, საერთოდ რეგიონში იმდენად დიდი დაინტერესება გამოიწვია ჩვენი ბავშვების წარმატებებმა, გადაწყდა ცალკე აიგოს საჭიდაო დარბაზი, მასალები შემოზიდულია — თქვა ნ. გაჩეჩილაძემ.

სურათზე: ნ. გაჩეჩილაძე თავის აღსაზრდელებთან — ქვემო ქართლის პირველობის გამარჯვებულებთან და პრიზიორებთან ერთად. ცენტრში, მარცხნივ — ლ. გვირჯიშვილი (III ადგ.) — მარჯვნივ — თ. ბურდულაძე (I); მწკრივში (მარცხნიდან) ა. ჭავჭავაძე (I), ხ. ჰინჭარაული (III), ნ. ბეჟაური (III), თ. ხიდეშელი (I), გ. ხიდეშელი (II), მ. ინასარიძე (III), გ. შეთეკაური (II), ვ. გავაშელი (II), ვ. ნათენაძე (I).

გამოცდა ოლიმპიური გმირების თვალწინ

თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის (უფროსი **გიორგი უდესიანი**) ხელშეწყობით დედაქალაქში სპორტული ცხოვრების რიტმი არ ნელდება — შეჯიბრებას შეჯიბრება ცვლის. სპორტის დეპარტამენტის სპორტულ დარბაზში ძალოსანთა თბილისის 2005 წლის ჩემპიონატს **კახი კახიაშვილიც** დაესწრო, რომელმაც რჩეული ჭაბუკები თავად დააჯილდოვა ვეტერან ძალოსან **დიტო შანიძესთან** ერთად. თბილისის სკოლებსა და სექციებში მომეცადინეთა გარდა, ოლიმპიური გმირების თვალწინ, ტურნირში რეგიონებიდან რამდენიმე პერსპექტიული ძალოსანიც მონაწილეობდა.

— ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. შედეგებიც არ იყო ურიგო. გიორგი ბეჟიტაშვილმა, მაგალითად, საქართველოს ჭაბუკთა სამი რეკორდი დაამყარა — თქვა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა **გურამ ფარულავამ.** გაგაცნობთ გამარჯვებულებს: რ. სარქისიანი (50 კგ), ა. ბაზეინი (56), გ. სიდამონიძე (62), კ. ობოლაშვილი (69), ა. მელაძე (77), ნ. თოდუა (85), გ. ბეჟიტაშვილი (94), ნ. ხუზაურაშვილი (105) და ლ. მამისაშვილი (მძიმე).

ფ. ბურამიშვილი

ტრადიციული, ამჯერად მეხუთე

წარსულში ცნობილი მხედრისა და მწვრთნელის **მურმან (ავთო) კიკიანის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ცხენოსანთა შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში ტრადიციად დამკვიდრდა და ამჟამად რიგით მეხუთე ასპარეზობა ჩატარდა თბილისის იპოდრომზე.

პირველ ტურნირში, 2001 წელს, გამარჯვება დარჩა მურმანის ვაჟს, საქართველოს ნაკრების წევრს **კახაბერ კიკიანს,** მომდევნო წელს საუკეთესო იყო **გიორგი სამხარაძე,** შემდეგ — **ცოტნე ლაბაშია,** შარშან — **გეგი მეტონიძე,** წლეულს კი მთავარი პრიზი ახალგაზრდა მხედარმა **შალვა გაჩეჩილაძემ** დაისაკუთრა. ასე რომ, ხსოვნის თასი ჯერჯერობით ორჯერ არავის მოუგია, რაც კიდევ უფრო ზრდის ინტერესს ამ შეჯიბრებისადმი.

კვარცხლბეკი. კონკური №1 ახალგაზრდა ცხენებისთვის. ხუთი მონაწილე: 1. ოლეგ რეუტოვი (ცხენი — ,,კარდინალი'') — კერძო მფლობელი, 2. როინ მარგიანი (,,ხედი'') — შსს განსაკუთრებულ დავალებათა ბატალიონის ესკადრონი, 3. გიორგი აფციაური (,,სულგრძელი'') — ჟოკეი კლუბი; **კონკური №2. ძირითადი ცხენებით. ცხრა მონაწილე:** 1. შალვა გაჩეჩილაძე (,,ასპარეზი''), 2. გოჩა ჯალაღონია (,,მილი'') — ორივე ჟოკეი კლუბი, მესამე ადგილი არ გათამაშებულა.

თორნიკე გაჩეჩილაძე

სამბო

მონაწილეთა რეკორდული მაჩვენებლით

საქართველოს პირველობა 1987-1988 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. მონაწილეობდა 25 ქალაქისა და რაიონის 350-მდე წარმომადგენელი, რაც სარეკორდო მაჩვენებელია.

ასპარეზობაზე შეირჩა ევროპის პირველობისთვის საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები. ეს შეჯიბრება გაიმართება იუგოსლავიაში მაისში. **კვარცხლბეკი. 48 კგ:** 1. ილია ტყეშელაშვილი (ვანი), 2. დავით პაპინაშვილი, 3. გიორგი ტაბატაძე (ორივე — თბ) და თორნიკე ვაშვაშიშვილი (ვანი); **52 კგ:** 1. ლაშა ტვილდიანი (თბ), 2. სულიკო მულაძე (ხაშური), 3. ვასილ წიკლაური (თბ) და ალექსი მაისურაძე (ფოთი); **56 კგ:** 1. ბექთირ შუკვანი, 2. გიორგი ოდიაშვილი (ორივე — თბ), 3. ბექა თოთლაძე და გიორგი ცქიფურიშვილი (ორივე — ქუთ); **60 კგ:** 1. ლევან ქოჩიევი, 2. ლაშა ნახუცრიშვილი (ორივე — თბ), 3. არჩილ ლომიძე (ქუთ) და თემურ ლვანია (ფოთი); **65 კგ:** 1. გიგა შოშიაშვილი (თბ), 2. მელიტონ ბაბილუა (ფოთი), 3. შმაგი ხურციძე (ქუთ) და ნოდარ მებალიშვილი (ახმ); **70 კგ:** 1. უჩა ხუციშვილი (თბ), 2. შმაგი კუსრაშვილი (დუშ), 3. თენგიზ წიკლაური და გიგია ებელაშვილი (ორივე — თბ); **75 კგ:** 1. ნიკო კუცია (ფოთი), 2. გია ხუციაშვილი, 3. გიორგი იაძე და გიორგი მჭედლიშვილი (სამივე — თბ); **81 კგ:** 1. დავით კარბელაშვილი, 2. დავით ჭაბუკაშვილი (ორივე — გორი), 3. გიორგი ლვინიაშვილი (ახმ) და შოთა ყაველაშვილი (თბ); **87 კგ:** 1. სანდრო მსხალაძე (გორი), 2. ალექსანდრე მაისურაძე (რუსთ), 3. ვალერი ცოციაშვილი და ზვიად ჯაშიაშვილი (ორივე — თბ). **+87 კგ:** 1. ფრიდონ აბულაძე (ახმეტა), 2. გიორგი სულაკაძე (ქუთ), 3. თეიმურაზ ბუცხრიკიძე (თბ) და გივი ტატანაშვილი (კასპი).

თენგიზ არაბული

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 87 წლისა გარდაიცვალა ამავე აკადემიის სპორტული თამაშების კათედრის ყოფილი უფროსი მასწავლებელი

კონსტანტინე
(კოტე) გამრეკელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლეგენდარული კალათბურთელის, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის, ევროპის სამგზის ჩემპიონის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ვეტერანი დინამოელის

ოთარ ძორძიას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს.

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებით იუწყება თბილისის „დინამოს“ გამოჩენილი ვეტერანი ფეხბურთელისა და ამავე კლუბის ყოფილი უფროსი მწვრთნელის

გაიოზ ჯეჯელავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

[illegible]

მსაჯებს კლასიფიკაციის მიხედვით დაყოფენ

საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაციის გადაწყვეტილებით, ამიერიდან მსაჯობის დონის ამაღლებისა და მსაჯების სტიმულირების მიზნით, ფიფასა და უეფას მოთხოვნების შესაბამისად, შემოიღებენ მსაჯთა კლასიფიცირებას რანგის მიხედვით.

კლასიფიკაციის განსაზღვრისათვის შეიქმნა კომისია ა. მილჩენკოს თავმჯდომარეობით, წევრები არიან: ო. გუნთაძე, ნ. კაკულია, ა. შალამბერიძე და ლ. სალუქვაძე.

სეზონის დამთავრების შემდეგ კომისია დებულების მიხედვით შეარჩევს შესაბამის კანდიდატურებს და სფფ-ს წარუდგენს. დადგინდა მსაჯთა კლასიფიცირების შემდეგი კატეგორიები: 1. ტოპ-კლასის მსაჯი. 2. პირველი კლასის მსაჯი. 3. მეორე კლასის მსაჯი.

ტოპ-კლასის მსაჯმა სეზონის განმავლობაში უმაღლეს ლიგაში უნდა ჩაატაროს არანაკლებ 10 თამაში. საშუალო შეფასება არ უნდა იყოს 8,0 ქულაზე ნაკლები.

პირველი კლასის მსაჯმა უნდა ჩაატაროს არანაკლებ 7 თამაში, საშუალო შეფასება არ უნდა იყოს 7,5 ქულაზე ნაკლები.

მეორე კლასის მსაჯებმა სეზონის განმავლობაში უნდა იმსაჯონ არანაკლებ 5 მატჩი. საშუალო შეფასება არ უნდა იყოს 7,5 ქულაზე ნაკლები. ფიფას არბიტრები ავტომატურად მონაწილეობენ კონკურსში. მსაჯების შერჩევისას გათვალისწინებული იქნება ფიზიკური და თეორიული მომზადების რეიტინგი, მათი აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ და სპორტულ საქმიანობაში. ტოპ-კლასის მსაჯი დაჯილდოვდება ფულადი პრემიით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს საფეხბურთო კლუბ „თბილისის“ დამფუძნებელს მამუკა გუგეშაშვილს მამის ბიჭიკო გუგეშაშვილის გარდაცვალების გამო.

საქართველოს
პროფესიული
ფეხბურთის
ლიგა

გენერალური სპონსორი

ეროვნულმა შეისვენა

სანაკრებო მატჩებამდე უმაღლეს ლიგაში ოცდამეხუთე ტურის მატჩები გაიმართა და დიდი შეხვედრების წინ, საკმაოდ ხანგრძლივი შესვენებაც გამოცხადდა. თითქოს ყველა ნაკრების მოახლოებულ თამაშებზე ფიქრობდაო, მოასპარეზეებმა მატჩების უმრავლესობა უგოლოდ დაასრულეს. იქნებ ცივ, ქარიან ამინდში ოფლი აღარ მოიღვრეს და ფრესაც ამიტომაც დასჯერდნენ. ხუთ შეხვედრაში მხოლოდ ოთხი გოლი გავიდა. სამი მატჩი ფრედ დასრულდა, გამარჯვებულიც მხოლოდ ორია. მოიგეს კოლხებმა გორში, უშუალო კონკურენტთან გორის „დილასთან“ და ქუთაისელებმა, ასევე გასვლაზე ბოლნისში სძლიეს „სიონს“. ორ თბილისურ დერბიში, ბათუმელების და ზესტაფონელების დაპირისპირებაში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. ჩემპიონატის განახლებამდე პირველი ადგილი შეინარჩუნა „თბილისმა“. მას ქულით ჩამორჩება თანაქალაქელი „დინამო“ და სამით — „ტორპედო“. გორში გამარჯვებით მკვეთრად დასცილდა ცხრილის ფსკერს „კოლხეთი“, თანაც მიუახლოვდა ბათუმის „დინამოს“ და ახლა სულ რაღაც ორი ქულით ჩამორჩება მეტოქეს. კიდევ უფრო გაურთულდა სატურნირო მდგომარეობა ორ გამოკვეთილ აუტსაიდერს — „სიონს“ და „დილას“. დღემდე გამართულ 125 მატჩში ფრე აღინიშნა 30-ჯერ, გატანილია 315 გოლი (საშუალოდ 2,52 გოლი ერთ მატჩში). ახლა ჯერი ნაკრებზეა, ეროვნული პირველობა კი ორი კვირით მოიცდის. აპრილის პირველ რიცხვებში გასამართი ოცდამეექვსე ტურამდე ჩემპიონატში ასეთი ვითარებაა:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
თბილისი	25	15	5	5	46-26	50
დინამო (თბ)	25	15	4	6	47-23	49
ტორპედო	25	13	8	4	39-20	47
ლოკომოტივი	25	10	11	4	33-20	41
ვიტ ჯორჯია	25	10	8	7	37-28	38
ზესტაფონი	25	11	3	11	25-38	36
დინამო (ბთ)	25	6	10	9	26-22	28
კოლხეთი	25	7	5	13	25-35	26
სიონი	25	6	3	16	21-48	21
დილა	25	2	3	20	16-55	9

ბომბარდირები

გ. მეგრელაძე (ტორპედო) — 17

ლ. მელქაძე (დინამო თბ) — 16.

XXV ტურის სტატისტიკა

20 მარტი

ბოლნისი. თ. სტეფანიას სახელობის სტადიონი. 700 მაყურებელი

სიონი — ტორპედო 0-1

სიონი: ბობლიაშვილი, სიდამონიძე, ი. ვაშაკიძე, ოქროპირიძე (ქოქიაშვილი, 88), თ. უგრეხელიძე (რუსია, 66), ავალიანი, სვანიძე, ალავიძე, ლ. ჩხაიძე, დათვაძე, გ. შენგელია (გ. დოლიძე, 55).

ტორპედო: მერლანი, მემარნიშვილი, გამეზარდაშვილი, ბაქრაძე, რაქვიაშვილი, ნერგაძე, ბოლქვაძე, გ. ახალაია, სოსელია (წუწუნავა, 76), კოშკაძე, რ. ჯიქია (ლ. მერებაშვილი, 88);

გოლი: 0-1 ჯიქია (52).

გააფრთხილეს: ავალიანი (75), რაქვიაშვილი (80), ოქროპირიძე (85).

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

ბათუმი. სტადიონი „დინამო“. 300 მაყურებელი

დინამო (ბთ) — ზესტაფონი 0-0

დინამო: ი. ბალაძე, გუშარაშვილი, ი. მახარაძე, ლ. ხმალაძე, ბეგლარ თედორაძე, გალოგრე, ბესო თედორაძე, ჩოხელი (ლლონტი, 80), გ. მანწკავა, დარჩიძე (ცანავა, 55), გონჩაროვი (ხომერიკი, 44).

ზესტაფონი: ქვაჩახია, შ. ლონლაძე, ჩიკვილაძე, შავგულიძე (ბესარაშვილი, 15), ს. თოდუა, გ. თურმანიძე, კ. ჩხეტიანი, ძამსაშვილი, ნუდნი (ჭუმბურიძე, 88), სულაკაძე (განუგრავა, 67), იონანიძე.

მე-18 წუთზე პენალტი ვერ გაიტანა დარჩიძემ.

გააფრთხილეს: სულაკაძე (18)

მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი).

მცხეთა. სტადიონი „არმაზი“, 500 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია — თბილისი 0-0

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, იმედაშვილი, დ. ლომაია, ინწკირველი, ლ. კვარაცხელია, დოლმელაშვილი, გველესიანი (ე. მერებაშვილი, 66), ვ. გოჩაშვილი, სახოკია (პ. დათუნაიშვილი, 60), მარცვალაძე, ებანოიძე (მჭედლიძე, 46).

თბილისი: გრიშიკაშვილი, ლოლაძე, მიქიაშვილი, მესხი, ქემოკლიძე, გ. ფოფხაძე, გეწაძე (ბ. ქლენტი, 55), შ. ჯიქია, მინ ჩოი, ფიფია (ვ. კვარაცხელია, 85), რ. ბარაბაძე (ს. იაშვილი, 46).

გააფრთხილეს: მესხი (16), ლ. კვარაცხელია (38), ვ. გოჩაშვილი (40), იმედაშვილი (68).

მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი).

გორი. თ. ბურჯანაძის სახელობის სტადი-

საქართველოს XVI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

XXV ტური

უმაღლესი ლიგა

ონი. 100 მაყურებელი

დილა — კოლხეთი 1-2

დილა: თ. ილურიძე, მგელაძე (მასურაშვილი, 80), ლ. გოჩაშვილი, დ. ხანიშვილი, ქ. ხანიშვილი (თომაშვილი, 55), რევაზიშვილი, გ. მაისურაძე, სულთანიშვილი, ჯობაძე, ბ. ჩიტაია, ა. ლაბაძე (სამადაშვილი, 72).

კოლხეთი: ბათიაშვილი, ჯ. შალამბერიძე, გოროზია, მინდაძე, თაყაძე, აკობია, ქუტიძე (დ. ნარსია, 70), გ. თოდუა, მელიქია, ზ. ქუთათელაძე (ტყებუჩავა, 46), ლებანიძე (კუნჭულია, 46).

გოლები: 0-1 თაყაძე (6), 1-1 ჩიტაია (50), 1-2 ტყებუჩავა (54).

გააფრთხილეს: თაყაძე (58), გ. მაისურაძე (58).

მსაჯი: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი).

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 1000 მაყურებელი

დინამო (თბ) — ლოკომოტივი 0-0

დინამო: ზოიძე, ორბელაძე (ლ. ჭელიძე, 46), კანდელაკი, ჭიჭვეიშვილი, სილაგაძე, დ. ოდიკაძე, ნემსაძე, ჯამარაული (გ. ნუგზარის ძე ჭელიძე, 75), ბაბუნაშვილი, დვალი (მელქაძე, 40), კაკალაძე.

ლოკომოტივი: სტურუა, გიგაური, გ. ონიანი, სეთურიძე, სანიკიძე, (ფოფხაძე, 80), ქებაძე, მახვილაძე, მანჩხავა, რ. ონიანი (ლაცაბიძე, 56), ბობოხიძე (ალავერდაშვილი, 85), კახელიშვილი.

გააფრთხილეს: სილაგაძე (70).

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი).

პირველი ლიგა XIX ტური

გუშინ...

ვიტ ჯორჯია (მცხ) — კახეთი 1-1

ლოკომოტივი2 — ამერი 1-5

მალაროელი — გურია 1-2

დინამო2 (თბ) — ბორჯომი 1-3

დღეს:

ჩიხურა — მილანი-მერანი

ივერია — ოლიმპი

საგარეჯო — რუსთავი

სპარტაკი — ცხინვალი

ბორჯომი	19	16	1	2	52-21	49
ამერი	19	14	1	4	54-9	43
ვიტ ჯორჯია	19	12	4	3	30-12	40
სპარტაკი	18	11	6	1	32-17	39
კახეთი	19	11	3	5	31-23	36
ცხინვალი	18	9	3	6	25-20	30
დინამო2	19	9	1	9	44-32	28
ივერია	18	6	5	7	16-22	23
ლოკომოტივი	19	6	4	9	24-30	22
გურია	18	6	4	8	18-27	22
ჩიხურა	18	6	4	8	17-21	22
რუსთავი	19	6	2	11	25-33	20
მილანი-მერანი	18	5	1	12	21-33	16
საგარეჯო	19	3	4	12	18-44	13
ოლიმპი	18	3	4	11	15-32	13
მალაროელი	18	0	3	15	8-54	3

ჭაბუკთა ლიგა

86-87-წლიანები

დინამო (თბ)	14	9	2	3	36-16	29
ლოკომოტივი	14	8	4	2	29-13	28
ტორპედო	14	7	5	2	24-12	26
ვიტ ჯორჯია	14	7	1	6	24-22	22
ზესტაფონი	14	6	3	5	20-22	21
თბილისი	14	5	3	6	30-22	18
კოლხეთი1913	14	5	3	6	23-25	18
დინამო (ბთ)	14	4	6	4	23-15	18
დილა	14	3	2	9	17-35	11
სიონი	14	1	1	12	13-57	4

88-89-წლიანები

დინამო (თბ)	14	9	4	1	57-8	31
ვიტ ჯორჯია	14	9	3	2	26-5	30
თბილისი	14	8	4	2	33-9	28
კოლხეთი1913	14	7	3	4	19-14	24
დინამო (ბთ)	14	6	4	4	15-16	22
ტორპედო	14	6	1	7	28-28	19
დილა	14	4	4	6	22-23	16
ლოკომოტივი	14	3	5	6	22-21	14
სიონი	14	1	3	10	11-54	6
ზესტაფონი	14	1	1	12	3-58	4

90-91-წლიანები

დინამო (თბ)	14	12	1	1	39-9	37
ლოკომოტივი	14	11	1	2	47-8	34
თბილისი	14	10	2	2	51-8	32
დინამო (ბთ)	14	7	3	4	25-29	24
ვიტ ჯორჯია	14	6	1	7	17-28	19
ტორპედო	14	5	1	8	13-31	16
კოლხეთი1913	14	4	4	6	17-25	16
ზესტაფონი	14	3	1	10	15-35	10
სიონი	14	1	3	10	12-38	6
დილა	14	1	3	10	9-34	6

საქართველო – საბერძნეთი

ბერძნული დესანტი ხუთშაბათს გვეწვევა

ოტო რეჰაგელი სათბილისო შემადგენლობას დღეს შეკრიბავს. ქართველებთან და ალბანელებთან საპაექროდ ბერძნები ათენში მოემზადებიან. ხუთშაბათს, 24 მარტს კი თბილისში ჩამოვლენ და „მარიოტში“ დაბინავდებიან. ევროპის ჩემპიონთა 22-კაციან განაცხადში ორი დებიუტანტია. ორივე „პანათინაიკოსიდან“. ლუკაშ ვინტრა და ფანის გეკასი, ტრავმირებულ სტელიოს ვენეტიდისსა და გეორგიოს გეორგიადისს შეცვლიან. ბერძნები უძლიერესი შემადგენლობით და მოსაგებად მოდიან. თუმცა, ჩვენებურებთან იოლ შერკინებას არ ელიან და მეტოქესაც ანგარიშს უწევენ. ელინთა სრული შემადგენლობა კი ასეთია.

მეკარეები: ანტონის ნიკოპოლიდისი (ოლიმპიაკოსი), კოსტას ხალკიასი (პორტსმუთი, ინგლისი);

მცველები: ტრაიანოს დელასი (რომა, იტალია), მიხალის კაპსისი (ბორდო, საფრანგეთი), იოანის გუმასი (პანათინაიკოსი), ლუკაშ ვინტრა (პანათინაიკოსი), პანაიოტის ფისასი (ბენფიკა, პორტუგალია), იურკას სეიტარიდისი (პორტუ, პორტუგალია), სოტირის კირიაკოსი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია);

ნახევარმცველები: კოსტას კაცურანისი (აეკ), ანგელოს ბასინასი (პანათინაიკოსი), თეოდოროს ზაგორაკისი (ბოლონია, იტალია), პანტელის კაფესი (ოლიმპიაკოსი), ვასილის ლაკისი (კრისტალ პალასი, ინგლისი), სტელიოს იანაკოპულოსი (ბოლტონი, ინგლისი), გეორგიოს კარაგუნისი (ინტერი, იტალია);

თავდამსხმელები: ანგელოს ხარისტიასი (აიაქსი, ჰოლანდია), ზისის ვრიზასი (სელტა, ესპანეთი), დიმიტრის პაპადოპულოსი (პანათინაიკოსი), იოანის ამანატიდისი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ფანის გეკასი (პანათინაიკოსი).

შემადგენლობა დაასახელა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა სტელიოს აპოსპორისმა. მის განკარგულებაში 21 ფეხბურთელია, ერთადერთი ლეგიონერით. გეორგიოს სამარასი ჰოლანდიურ „ჰერენვენში“ ბურთაობს.

კოსტას ანდრიოლასი (ხალკიდონა), ფანურის გუნდულაკისი (პანიონიოსი), ფილიპოს დარლასი (აპოლონი), ორესტის კარნეცისი (ოფი), ილიას კირიაკიდისი (აეკ), პანაიოტის ლაგოსი (ირაკლისი), სოტირის ლეონტიუ (პროდეფტიკი), მანოლის ლიაპაკისი (ეგალეო), ვანგელის მანციოსი (პანიონიოსი), ხრისტოს ბურბოსი (აეკ), ავრაამ პაპადოპულოსი (არისი), გრიგორის პაპაზახარიასი (ირაკლისი), ხარილაოს პაპასი (აპოლონი), დიმიტრის პეტკაკისი (აპოლონი), დიმიტრის პლიაგასი (პროდეფტიკი), გეორგიოს სამარასი (ჰერენვენი, ჰოლანდია), მიხალის სიფაკისი (ოფი), ალექსის ციოლისი (პანიონიოსი), პეტროს ფილიპაკოსი (ოლიმპიაკოსი), სოკრატის ფიტანიდისი (აპოლონი), ხრისტოს პიპინისი (აკრატიტოსი).

ტყებუჩავამ დაასახელა

შესარჩევი მატჩებისთვის მზადება დაიწყეს ქართველებმაც. ეროვნული გუნდი სასტუმრო „ბატესტაში“ დაბინავდა, ახალგაზრდული — სფფ-ს ტექნიკურ ცენტრში. ქირესის ნაკრები „ოლიმპის“ სტადიონზე ივარჯიშებს და ტრადიციული ყოველდღიური პრესკონფერენციებიც გაიმართება. ოპერატიულად შევიტყობთ გუნდში არსებულ მდგომარეობას. პირველი პრესკონფერენცია დღეს 15 საათზე გაიმართება.

ბერძნებთან და თურქებთან სათამაშო შემადგენლობა დაასახელა ახალგაზრდული გუნდის თავკაცმა **გოჩა ტყებუჩავამ.** 22-კაციან განაცხადში რვა ლეგიონერია, ძირითადად, რუსეთში მოთამაშე ფეხბურთელები. **მეკარეები:** ირაკლი თორთლაძე (დინამო ბთ), ნუკრი რევიშვილი (ტორპედო), მინდია ბობლიაშვილი (სიონი); **მცველები:** გიორგი ციმაკურიძე (სტალი, უკრაინა), თენგიზ ჩიკვილაძე (ზესტაფონი), მამუკა ლოიძე (ჩკალოვეცი, რუსეთი), დავით ჭილაძე (სუდოვა, ლიტვა), მათე ღვინიანიძე (ლოკომოტივი, რუსეთი), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), ბესო მიქიაშვილი (თბილისი), შოთა კაშია (დინამო თბ); **ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა (ალანია, რუსეთი), გოჩა ხოჯავა (ანორთოსისი, კვიპროსი), რევაზ გეწაძე (თბილისი), გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე (დინამო თბ), გიორგი განუგრავა (ზესტაფონი), მიხეილ ბესარაშვილი (ზესტაფონი); **თავდამსხმელები:** სანდრო გურული (ლიონი, საფრანგეთი), სანდრო იაშვილი (თბილისი), გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე (ლოკომოტივი, რუსეთი), ოთარ მარცვალაძე, ირაკლი ებანოიძე (ორივე — ვიტ ჯორჯია).

სფფ-ს ლიცენზირების კომიტეტი „ტორპედოს“ შანსს აძლევს, ვადა კი ამოწურულია

ფოტო ელდარ მაღხაზიშვილისა.

მასმედიის წარმომადგენლებს სფფ-ს კლუბების ლიცენზირების კომიტეტის წევრებიც შეხვდნენ. დასაწყისში კომიტეტის თავმჯდომარემ გერა ხეცურიანმა ჟურნალისტებს ის დოკუმენტები წარმოუდგინა, რომლის ძალითაც კომიტეტს მიენიჭა უფლება აწარმოოს საქართველოში კლუბების ლიცენზირება. შემდეგ კი გააცნო თუ რა სიტუაციაა დღეს ლიცენზირების სისტემაში, რომელშიც ჩართულია უმაღლესი ლიგის ათივე და პირველი ლიგის ოთხი კლუბი. 4 კრიტერიუმის დოკუმენტების წარმოდგენის ვადა 15 მარტამდე იყო გახანგრძლივებული. თუმცა, ლიცენზირების საბუთები 1 მარტამდე დროულად და სრულად წარმოადგინა სამმა კლუბმა, თბილისის „ლოკომოტივმა“, „სპარტაკმა“ და „ვიტ ჯორჯიამ“. დღეისთვის სფფ-ში დოკუმენტები წარადგინეს „დინამომ“, „თბილისმა“ და „ამერმა“. ლიცენზირების სისტემაში პირველად მონაწილეობს „ზესტაფონი“, მაგრამ გუნდის მესვეურები მოწადინებულები არიან სერიოზულად იმუშაონ, ნაკლოვანებები გამოასწორონ და ლიცენზიაც მიიღონ. ანალოგიური ვითარებაა „სიონში“, ლიცენზირების სისტემის გავლას ცდილობს პირველი ლიგის ლიდერი „ბორჯომი“. საკლუბო რეორგანიზაცია მიმდინარეობს ფოთის „კოლხეთში“ და გორის „დილაში“, ისინი კომიტეტს საბუთების წარმოდგენის ვადების გადაწევას ითხოვენ. საერთოდ, არ ჩანან და ლიცენზირების კომიტეტს არ ეხმიანებიან ბათუმის „დინამოს“ და თბილისის „მერანის“ კლუბების წარმომადგენლები. განსაკუთრებული ვითარებაა ქუთაისის „ტორპედოში“. კლუბის ფინანსური საბუთები ისევ დაყადაღებულია და ჯერაც გაურკვეველია ვინ ითანამშრომლებს ლიცენზირების კომიტეტთან და ვინ მოამზადებს საბუთებს. თუმცა, ყველა ვადა ამოწურულია, კლუბის მიმართ გარკვეული შეღავათები მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, თუ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა კონკრეტულ ქმედებებს განახორციელებს.

რაც შეეხება სტადიონებს, „ლოკომოტივის“ არენის ინსპექტირების აქტი კომიტეტს წარედგინა და მათ სტადიონის სერტიფიცირებისათვის ყველა საბუთი ხელთ აქვთ. დოკუმენტაციის მომზადების პროცესი მიმდინარეობს ეროვნულ სტადიონზეც.

სფფ-ს ლიცენზირების კომიტეტში შემოსული დოკუმენტაცია ლიცენზირების კრიტერიუმების ექსპერტებს გადაეცემა, დაიწერება დასკვნები და 15 აპრილიდან დაიწყება კლუბების ლიცენზირების პროცესი. კლუბები, რომლებიც საბუთებს არ წარმოადგენენ, მათი საკითხი არ განიხილება და ლიცენზიას არ მიიღებენ.

გამოხმაურება წერილზე — «ქართული ფეხბურთის პათოლოგიის დიაგნოზი»

ერთ თვეზე მეტი ხნის მანძილზე (თებერვალი-მარტი) გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე იბეჭდებოდა ომაზ ჩხეიძის ძალზე ვრცელი წერილი — „ქართული ფეხბურთის პათოლოგიის დიაგნოზი“, რომელიც ხმამაღალ განცხადებას უფრო გვაგონებს, და თავისი დიაგნოზით ავტორი ქართული ფეხბურთის ავადმყოფობის მკურნალის როლში გამოდის. საერთოდ, ო. ჩხეიძეს ტერმინ „პათოლოგიის“ ნაცვლად, უნდა ეხმარა „ავადმყოფობა“, რაც უფრო მისაღები იქნებოდა ზოგიერთებისთვის, რომლებიც, ავად თუ კარგად, რატომღაც სამედიცინო ტერმინოლოგიაში ვერ ერკვევიან.

წერილის დასაწყისში ავტორი აღნიშნავს: „ქართულ ფეხბურთში პირველი დიდი კრიზისის მომსწრე ვარ 1966-1975 წლებში. ეს იყო თითქმის ათწლიანი პერიოდი, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ძველი სისტემები და მიდგომა საქმისადმი. მეორე უფრო ღრმა და ხანგრძლივი კრიზისი 1983 წლიდან დაიწყო“... მიუხედავად ასეთი დასკვნებისა, ო. ჩხეიძე იმ მოტივებს და მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვია კრიზისები და ჩავარდნები ქართულ ფეხბურთში, არ ასახელებს.

ჩვენი აზრით, მაშინდელი კრიზისები უმთარესად და უპირველესად დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორი ვითარება იყო ფეხბურთში საქართველოში და საერთოდ, თბილისის „დინამოში“, როგორ მიმდინარეობდა თაობათა ცვლის პროცესი და კონკრეტულად ვინ აგებდა პასუხს იმ დროს ქართული ფეხბურთის ავ-კარგიანობაზე. გავიხსენოთ 60-70-იანი წლების კიევის „დინამოს“ მიღწევები ფეხბურთში. ვინ მისცა იმ პერიოდში დასაბამი კიეველთა აღორძინებასა და აღზევებას, როგორც საკავშირო, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე?! — უკრაინის კომპარტიის ყოფილმა ბოსმა პეტრე შელესტმა. სწორედ რომ შელესტის დამსახურება იყო კიეველების მიერ საბჭოთა ფეხბურთში ჰეგემონიის მოპოვება. ამ გუნდს შეეძლო თავისთან გადაებირებინა, ვინც კი სადმე გამოჩნდებოდა პერსპექტიული და ძლიერი ფეხბურთელები. ამის დასადასტურებლად მარტო ვიქტორ კოლოტოვის ისტორიაც გვეყოფა. ვ. კოლოტოვზე „ნადირობდნენ“ მოსკოვის გუნდები — „სპარტაკი“, „დინამო“ და „ტორპედო“. მაგრამ ყაზანის „სოკოლის“ მოთამაშე ვ. კოლოტოვი, მხოლოდ მას შემდეგ აღმოჩნდა კიევის „დინამოში“, როდესაც დააკმაყოფილეს მისი მოთხოვნა — ცალ-ცალკე ბინები მისცეს კიევში მის მშობლებსა და ძმას, ხოლო თვითონ ვიქტორ კოლოტოვს კი ოთხოთახიანი ბინა. იგი კარგა დიდ ხანს იყო კიევის „დინამოსა“ და საკავშირო ნაკრების კაპიტანი, თანაც, უცვლელად. ჩვენ არ ვამცირებთ ვიქტორ მასლოვის და ვალერი ლობანოვსკის — კიევის „დინამოს“ სხვადასხვა დროის მწვრთნელების დამსახურებას, მაგრამ „პირველი კაცის“ როლი გაცილებით უფრო დიდი და გადამწყვეტი იყო...

ო. ჩხეიძე ძალზე ხშირად იმეორებს ერთი და იგივე პოზიციას, რომ ფეხბურთელები უნდა იყვნენ ფიზიკურად ძლიერები და ჯანიანები (ეს ხომ აქსიომაა — გ.ჩ.), რომ „მეკარე და ცენტრალური მცველები უნდა იყვნენ ტანმაღლები და ათლეტურები, რათა შეეძლოთ გადაკეტონ კარისკენ მიმავალი საჰაერო სივრცეები. განაპირა მცველები კი პირიქით, ტანდაბალი ფეხბურთელები იოლად ფლობენ სხეულს, მანევრირებადი და სხარტნი არიან, უფრო იოლად აკეთებენ ჩახტომებს და უფრო ძნელად მოსატყუებლები არიან“...

ასეთი აზრის გასაქარწყლებლად მოგვყავს მ. ხურცილავას და ბ. სიჭინავას მაგალითი. არც თუ ისე ტანმაღალი ხურცილავა საუკეთესოდ თამაშობდა ცენტრალური მწვრთნელის პოსტზე, ხოლო ტანმაღალი სიჭინავა ერთ-ერთი საუკეთესო იყო განაპირა მცველის ადგილას, სხვათა შორის, ის ადრე ცენტრალურ მცველად თამაშობდა, მაგრამ მას მოუძებნეს ადგილი მარჯვენა მცველის ამპლუაში და ის იმ ადგილას თავს გრძნობდა, როგორც „თევზი წყალში“. აქვე გვინდა გავიხსენოთ თბილისის „ოდოს“ ცენტრალური მცველი ლოგინოვი, რომელიც ტანმორჩილი იყო და მასზე ბევრად ტანმაღალ თავდამსხმელებს მაღალ ბურთებს უგებდა და მათ სისხლს უშრობდა. სხვათა შორის, მაშინ ლოგინოვთან ერთად „ოდოში“ თამაშობდა ანატოლი ბაშაშკინი, რომელიც შემდგომში ცსკა-სა და საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრალური მცველი გახდა...

ო. ჩხეიძე ასახელებს რა თ. სულაქველიძეს, ამბობს, რომ „ჩემი ამ ხნის ფეხბურთთან ურთიერთობის მანძილზე არ მახსენდება ფიზიკური მონაცემებით მისი დონის ქართველი ფეხბურთელი“. როგორ შეიძლება არ გავიხსენოთ გიორგი ანთაძე, ვიქტორ პანიუკოვი, ავთანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ ელოშვილი, რევაზ ძოძუაშვილი და სხვები. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ გიორგი ანთაძე.

1951 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში ქართველმა ფეხბურთელებმა საერთაშორისო ამხანაგური მატჩები გამართეს პოლონეთში. სხვა ქართველ ფეხბურთელებთან ერთად თავი გამოიჩინა თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველმა გოგი ანთაძემ, რომელიც მინდორზე ვერცხლის წყალივით მოძრაობდა წინ და უკან, ეხმარებოდა დაცვასა და თავდასხმას, ხელთ ეპყრა რა თამაშის სადავეები. პოლონელებმა მას ზედმეტ სახელად „პარავოზა“ შეარქვეს და ასეთად დარჩა თამაშის კარიერის დასრულებამდე. ალბათ, ზოგიერთებმა იციან გ. ანთაძის გამოსვლა საკავშირო ნაკრებში იმჟამინდელი მსოფლიოს „დიდი გუნდის“, უნგრეთის ნაკრების თავდამსხმელისა და კაპიტნის ფერენც პუშკაშის წინააღმდეგ თამაში, როდესაც ფ. პუშკაშს საშუალება არ მისცა თავისი თამაში ეთამაშა. პუშკაშმა ისღა „მოახერხა“, რომ გოგი ანთაძეს მძიმე ტრავმა მიაყენა...

ო. ჩხეიძე თავისი წერილის ერთ ადგილას აცხადებს, რომ „კარის დარაჯის პოსტი ყოველთვის იყო და არის ქართული ფეხბურთის „აქილევსის ქუსლი“. ქართველი მეკარეები არასოდეს მდგარან მსოფლიო დონის კოჰორტაში. სხვა ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, სლავები, ალბათ, ამ ერთადერთ რგოლში გვჯობნიდნენ, მეტიც, ვფიქრობ, რუსულ-უკრაინულ მეკარეთა სკოლას ბადალი არ ჰყავს. თავად განსაჯეთ: იაშინი, რუდაკოვი, მასლაჩენკო, ბანიკოვი, უგრაიცკი, პშენიჩნიკოვი, ვოსტროილოვი, ასტაპოვსკი, პილგუი, ბაუჟა, პროხოროვი, ჩანოვი და მრავალი სხვა“... ჩამოთვლილი მეკარეებიდან ზოგიერთი არც რუსია და არც უკრაინელი.

ჩხეიძე ჯერ აქებს სერგო კოტრიკაძეს, ხოლო შემდეგ წერს: „ზოგჯერ ისეთი ბურთები გაუშვია“... დალოცვილო, თქვენ თუ არ გინახავთ ლევ იაშინის გაშვებული ბურთები, მაშინ წარმოდგენაც არ გაქვთ მასზე. მაგალითისთვის დავასახელებ 1956 წლის სპარტაკიადაზე მოსკოვის ნაკრების, იგივე საკავშირო ნაკრების მეკარეს ლ. იაშინს, ლენინგრადის ნაკრების ცენტრფორვარდმა გულევსკიმ ისეთი ბურთი გაუტანა, რომ გავრილ კაჩალინი შემდგომში მის ნაცვლად ბორის რაზინსკის ათამაშებდა. ძალზე სუსტად გამოვიდა ლევ იაშინი 1962 წლის ჩილეს VII მსოფლიო პირველობაზე, როდესაც კოლუმბიის ნაკრებთან შეხვედრისას მან 4 ბურთი გაუშვა. ბოლო მეოთხე ბურთი თავიდან ბოლომდე იაშინის ბრალი იყო. მან გივი ჩოხელს დაუძახა, რომ კოლუმბიელის დარტყმულ ბურთს იღებდა და ჩოხელის მხრიდან რაიმე ქმედების ან მოძრაობის ჩატარება საჭირო არ იყო. გივიმ მას დაუჯერა და ბურთი გაატარა. იაშინმა კი ის ბურთი გაუშვა და თამაში 4-4 დამთავრდა. საბოლოოდ, რუსმა შოვინისტებმა ყველაფერი გ. ჩოხელს დააბრალეს და ის „განტევების ვაცად“ გამოიყვანეს...

გასაოცარია, როდესაც ჩხეიძე ამბობს, რომ „ევგენი რუდაკოვი ლამის ორმოცი წლის გახდა, მაგრამ მას ვერა და ვერ ელეოდა ვალერი ლობანოვსკი. იმ დროს კიევის „დინამოს“ ბრწყინვალე დაცვა ჰყავდა და მოწინააღმდეგეებს თითქმის არ არტყმევინებდნენ რუდაკოვის კარში“. მართლაც გასაოცარია იმიტომ, რომ კარში უსაქმოდ მდგარი რუდაკოვი კარგ მეკარედ ჩათვალო.

ქართულ ფეხბურთში იყვნენ შესანიშნავი მეკარეები: დოროხოვი, ტყებუჩავა, შუდრა, სანაია, მარღანია, კოტრიკაძე, კავაზაშვილი და სხვები.

ჯერ კიდევ 1937 წელს თბილისში გამართულ შეხვედრისას მსოფლიოში განთქმული ბასკი ცენტრფორვარდი ისიდორო ლანგარა განცვიფრებული იყო თბილისის „დინამოს“ მეკარის ალექსანდრე დოროხოვის ლამაზი და თავგანწირული თამაშით. ლანგარა სამართლიანად ადარებდა თბილისელთა კარის დარაჯს ლეგენდარულ ზამორას და თამაშის მიმდინარეობისას დოროხოვს ხშირად ზამორას უძახოდა.

1950 წელს მოსკოვის „დინამოს“ კარს ალექსეი ხომიჩთან ერთად ვალტერ სანაია იცავდა, ხოლო 1951-1952 წ.წ. ის ერთპიროვნულად და შეუცვლელად იდგა მოსკოველთა კარში, აქვე აღვნიშნავ, რომ ლ. იაშინი მისი დუბლიორი იყო. 1952 წელს, როდესაც პირველად შეიქმნა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები (იგივე პირველი ნაკრები), მის შემადგენლობაში ლენინგრადის „ზენიტის“ მეკარე ლ. ივანოვთან ერთად შეყვანილი იქნა ვლადიმერ მარღანია, რომელიც ავთანდილ ღოღობერიძესთან, გიორგი ანთაძესთან და ავთანდილ ჭკუასელთან ერთად ჰელსინკის ოლიმპიადაზე გაემგზავრა.

ანზორ კავაზაშვილმა მოსკოვის „ტორპედოს“ ძირითად მეკარედ ექვსი სეზონი ითამაშა (1963, 1964, 1965, 1966, 1967, 1968 წ.წ.). აქედან, 1964 წელს, გუნდთან ერთად გახდა ვერცხლის მედლის მფლობელი, ხოლო 1965 წელს მიიღო ოქროს მედალი, 1968 წ. კი ბრინჯაოს მედალი და გახდა საკავშირო თასის მფლობელი.

მან სამი სეზონი ითამაშა მოსკოვის „სპარტაკის“ ძირითად მეკარედ, შეცვალა რა ვიქტორ მასლაჩენკო. ეს იყო 1969-1970-1971 წ.წ. ანზორ კავაზაშვილი „სპარტაკის“ მოთამაშეებთან ერთად 1969 წ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ხოლო 1970 წ. ბრინჯაოს მედლის მფლობელი, 1971 წ. კი საკავშირო თასის მფლობელია. საბჭოთა კავშირის ნაკრებში მან 30 თამაშში მიიღო მონაწილეობა.

1970 წელს ა. კავაზაშვილი რეზო ძოძუაშვილთან, მურთაზ ხურცილავასთან, კახი ასათიანთან და გივი ნოდიასთან ერთად შეყვანილი იქნა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში და მონაწილეობდა 1970 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში. მან ოთხ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ჩემპიონატის ნახევარფინალამდე მივიდა. მეოთხედფინალში საბჭოთა ნაკრებმა ურუგვაის ნაკრებთან 0-1 (დამატებით დროში) წააგო და გამოეთიშა შემდეგ ბრძოლას...

ო. ჩხეიძე თავის წერილში რჩევებს იძლევა, რომ რუსეთიდან მოვიწვიოთ მეკარეები და ნახევარმცველები. ასეთი რჩევა-რეკომენდაცია ძირშივე მცდარი და მიუღებელია. უფრო მეტიც, რუსეთი თვით იწვევს უცხო ქვეყნებიდან მოთამაშეებს. ქართულ ფეხბურთს ყოველთვის ახასიათებდა და ახასიათებს ეროვნულობა, თვითმყოფადობა და შემოქმედება. ჩვენს ფეხბურთს უფრო შეესაბამება და მიესადაგება ბრაზილიური, არგენტინული, იტალიური და ესპანური ფეხბურთის წარმომადგენლები, თავიანთი ტექნიკით, ტაქტიკით, სისწრაფით და იმპროვიზაციით, ხოლო რუსული ფეხბურთი იყო და დარჩა ტაქტიკით — „ირბინე და დაარტყი“.

არც ერთ ქართველ ლეგიონერს მაინცდამაინც არ გამოუჩენია თავი რუსეთში, ინგლისში და გერმანიაში, რადგან სამივე ქვეყანაში თამაშობენ ძალისმიერ ფეხბურთს. ჩვენი ლეგიონერები იქ კარგავენ თავიანთ ტექნიკას, სისწრაფესა და საერთო სათამაშო სტილს. უფრო მეტიც, ხშირად იღებენ სერიოზულ ტრავმებს და დიდი ხნით მწყობრიდან გამოდიან. მაგალითისათვის გავიხსენოთ ცნობილი ქართველი ცენტრალური მცველები კახი ცხადაძე და მურთაზ შელია, რომლებიც ინგლისში ისე დაიმტვრნენ და დასახიჩრდნენ, რომ შემდგომში ფეხბურთის თამაში ძველ დონეზე ვეღარ შეძლეს.

სხვა ლეგიონერებისაგან განსხვავებით, საუცხოოდ თამაშობს კახი კალაძე იტალიის „მილანში“ და იმიტომ, რომ იტალიაში ფეხბურთი ტექნიკური და სუფთაა.

წერილის ავტორი ამბობს, რომ მესხის წინაშე არ არსებობდა არავითარი „ბეტონი“. უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ მიშას წინააღმდეგ არსებობდა მოწინააღმდეგეთა ძალზე უხეში თამაში, როდესაც მას ფეხებში ურტყამდნენ, მაისურს ახევდნენ, სარმას უდებდნენ, აქცევდნენ და ა.შ. ამ დროს კი მსაჯები თითქოს ვერაფერს ხედავდნენ და არავითარ რეაგირებას არ ახდენდნენ. ხშირად გვინახავს გამწარებული და განრისხებული მიშა მესხი, რომელსაც ფეხები დალურჯებული და დასისხლიანებული ჰქონდა, ხოლო ფეხბურთის ზოგიერთი ობივატელი მაყურებელი ობიექტურობას არ იცავდა და იძახდა, რომ მესხი ამოკეტეს, ის ზარმაცობს და ა.შ.

ო. ჩხეიძე არასწორია, როდესაც წერს: „და აი, წავიდა მესხი, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. რამდენიმე წელი მისი ჭაპანი ზიდა სლავა მეტრეველმა“. ჯერ ერთი, მიშა მესხი თავისი ნებით არ წასულა. ის აიძულეს წასულიყო, რადგან ვერ იტანდნენ მისი სახელის დიდ პოპულარობას მსოფლიო ფეხბურთში. წავიდა და თან წაიღო განუმეორებელი კასკადური ფინტები, უზადო ტექნიკა, იმპროვიზაცია და სისწრაფე. მისი ჭაპანის ზიდვა და მისი შეცვლა არავის შეეძლო, თუნდაც სლავა მეტრეველს, რომელიც რქებმოტეხილ ქორბუდასავით დარჩა მესხის გარეშე ბრძოლის ველზე.

მ. მესხი ინდივიდუალურად და გამორჩეულად თამაშობდა, მაგრამ ყველაფერს აკეთებდა გამარჯვების მოსაპოვებლად. მისი გადაცემებიდან, უფრო სწორად, ჩაწოდებებიდან, დანარჩენებს ბურთები გაჰქონდათ. ასე იყო თბილისის „დინამოში“, სადაც ზაურ კალოევის გატანილი გოლების 70 პროცენტი მიშა მესხის გადაცემების შედეგად შესრულდა. ასე იყო 1960 წელს, როდესაც ევროპის თასის პირველი გათამაშების ფინალურ შეხვედრაში იუგოსლავიის ნაკრების წინააღმდეგ მიშამ ვიქტორ პონედელნიკს თავზე დაუსვა ბურთი და მანაც არ დააყოვნა გამარჯვების გოლი გაეტანა მოწინააღმდეგეთა კარში. საბჭოთა ნაკრებმა პირველად და უკანასკნელად მოიპოვა ევროპის თასი.

ო. ჩხეიძეს ხშირად მოჰყავს ანდრო ჟორდანიას სიტყვები მისი წიგნიდან — „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე“, მაგრამ განგებ არ გვამცნობს ა. ჟორდანიას აზრს მ. მესხის ფეხბურთიდან წასვლის შესახებ. მოგვყავს ა. ჟორდანიას სიტყვები: „მე, როგორც ძველ ფეხბურთელს და მწვრთნელს, გული მტკივა, როცა მაგონდება მ. მესხის გაცილება 16 ივლისს (იგულისხმება 1969 წელი — გ.ჩ.), „ლოკომოტივის“ სტადიონის ტრიბუნების რეაქცია: მქუხარე ოვაცია და აცრემლებული სახეები, რომლითაც მაყურებელმა გამოხატა მ. მესხისადმი სიყვარული და... გამაყრუებელი სტვენა, რომლითაც გამოთქვა უკმაყოფილება იმათ მიმართ, ვინც ხელი შეუწყო მის ნაადრევ წასვლას“ (ანდრო ჟორდანია. „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე“. 1976 წ.). ანზორ კავაზაშვილმა იმ დროს საკავშირო ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნა, თუ როგორ გაოცდნენ მოსკოვის „სპარტაკის“ მაშინდელი უფროსი მწვრთნელი ნიკიტა სიმონიანი და ფეხბურთელები, როდესაც გაიგეს, რომ მ. მესხმა ფეხბურთის თამაშს თავი დაანება. არადა, ჯერ ვიაჩესლავ სოლოვიოვს, ხოლო შემდეგ გივი ჩოხელს განგებ არ გამოჰყავდათ მ. მესხი სათამაშოდ. და ეს ხდებოდა იმჟამინდელი სპორტკომიტეტის ხელმძღვანელის დიქტატით.

საერთოდ, არ შეიძლება რომელიმე ქართველი ფეხბურთელის მიხეილ მესხთან შედარება. იგი იყო განუმეორებელი სუპერვარსკვლავი ფეხბურთში. მისი თამაშით აღფრთოვანებული იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთის გულშემატკივრები, სპეციალისტები, მწვრთნელები, ჟურნალისტები... „მესხის ფინტები“ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის კუთვნილებად დარჩა. ორმოც წელზე მეტი გავიდა, მაგრამ მისი განუმეორებელი ფინტები დღემდე ვერავინ ისწავლა და განუხორციელებელ ოცნებად დარჩა...

ო. ჩხეიძე თავის ძალზე ვრცელ წერილში აბსოლუტურად არაფერს ამბობს ავთანდილ ჭკუასელზე, რომელიც თანაბარი სიძლიერით თამაშობდა ორივე ფრთაზე, გამოირჩეოდა შესანიშნავი ტექნიკით, დრიბლინგით, ბურთის თავისუფალი ფლობით და, რაც მთავარია, კარში ყუმბარისებური დარტყმით.

ის მხოლოდ 21 წლის იყო, როდესაც, 1952 წელს საკავშირო ოლიმპიური ნაკრების, თანაც პირველი ოფიციალური ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ყველაზე ახალგაზრდა წევრი გახდა. ა. ჭკუასელი გამოირჩეოდა მაღალტექნიკური დრიბლინგით და კარში დარტყმის სიზუსტით. სწორედ ამიტომ იყო, რომ მოწინააღმდეგე გუნდის მეკარეები, თვით ლევ იაშინის ჩათვლით, შიშნარევი და ნერვიული ხმით თავიანთ მოთამაშეებს უკიოდნენ: „დაიჭირეთ ჭკუასელი, დაიჭირეთ ჭკუასელი!...“

შემდეგ წერილის ავტორი სერიოზულად გვმოძღვრავს, რომ „სუსტი ფიზიკური მომზადების აღმოფხვრისა და ევროპულ მომზადებასთან ზიარების მიზნით ჩამოვიყვანეთ ჰოლანდიელი სპეციალისტი. ვფიქრობ, სფფ სწორად მოიქცა ამ ნაბიჯის გადადგმისას“.

წერილიდან გაუგებარია, თუ ვის გულისხმობს ო. ჩხეიძე ჰოლანდიელ სპეციალისტში. ალბათ, ეს არის ჰოლანდიელი მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი, რომელიც თვით სფფ-ს პრეზიდენტმა მ. ჟორდანიამ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად მოიწვია.

როდესაც კენჭისყრის შედეგად საქართველოს ნაკრები 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის II ჯგუფში მოხვდა, ყველამ დავინახეთ, რომ ეს ჯგუფი შემადგენლობით ყველაზე სუსტი იყო და ფინალურ ეტაპამდე გაღწევა იოლ საქმედ ჩავთვალეთ. საბოლოოდ კი მოხდა ისე, რომ სუსტ ჯგუფში ყველაზე სუსტი და უსუსური ჩვენი ნაკრები აღმოჩნდა. ჩატარებული 10 თამაშიდან 7 წააგეს, 2 ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ ერთი მოიგეს. გატანილი და მიღებული ბურთებითაც (8-18) ბოლო აღმოჩნდით. ასე რომ, საქართველოს ნაკრების გამოსვლა ი. ბოსკამპის ხელმძღვანელობით სრული მარცხით დამთავრდა, „ჰოლანდიელმა სპეციალისტმა“ თავი იმითაც დაგვამახსოვრა, რომ ფეხბურთში სრული უმეცრება გამოიჩინა, როდესაც ხუთი მცველი ერთ ხაზზე განალაგა და თამაშის დროს ძალზე ხმამაღლა ყვიროდა, მოთამაშეებს თითქოსდა ამხნევებდა და მოუწოდებდა შეტევებისკენ.

გვახსენდება მ. ჟორდანიას პასუხები პრესკონფერენციაზე, რომლებმაც არადამაკმაყოფილებელი შეგრძნება დატოვა. ი. ბოსკამპის ნაკრებთან მუშაობის შეფასებისას მ. ჟორდანიამ „არც მწვადი დასწვა და არც შამფური“. აი, რა თქვა მაშინ სფფ-ის პრეზიდენტმა: „ბოსკამპმა თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას“... და იქვე — „...მას რაც შეეძლო ის გააკეთა და ამის დაუფასებლობა არ იქნება“... რომ „არასწორია ყველაფრის მასზე გადაბრალება“...

აი, რას ვწერდი იმ დროს გაზეთ „ლელოში“ (№83. 1999 წ. 26-28 ოქტომბერი): „1999 წელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე „შავ ლაქად“ დარჩება. ამჟამად ქართული ფეხბურთი მძიმედაა დაავადებული და მისი განკურნებისთვის აუცილებლად საჭიროა გადაუდებელი „შოკური თერაპიის“ ჩატარება. აი, რაზე უნდა იფიქროს სფფ-ს ახალმა ხელმძღვანელობამ, რომლის საქმიანობა ჯერჯერობით, ვფიქრობ, სასურველ დონეზე ვერ დგას“. ეს სიტყვები დღევანდელ მდგომარეობას ზუსტად მიესადაგება...

წერილის ერთ ადგილას ვკითხულობთ: „შეგნებულად არაფერს ვამბობ ივო შუშაკის შესახებ, რომელმაც მეტად შრომატევადი, სერიოზული და თავდადებული მუშაობის მიუხედავად ვერ გაამართლა“... ნათქვამ სიტყვებში სრული შეუსაბამობაა და, რაც მთავარია, ო. ჩხეიძე არ პასუხობს, თუ რატომ ვერ გაამართლა ი. შუშაკმა და რა დააშავა.

ივო შუშაკის მთავარ მწვრთნელად მოსვლამდე, საქართველოს ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა 30-ის და 30 წელს გადაცილებული ასაკის იყვნენ და სათამაშო გამძლეობით არ გამოირჩეოდა. შუშაკმა გაახალგაზრდავა ნაკრები, დააკომპლექტა სწრაფი, აგრესიული და შემტევი სტილის ფეხბურთელებით, რომლებსაც უნარი გააჩნდათ მაღალი ტექნიკისა და თავიანთი ფიზიკური მონაცემების წყალობით ერთნაირი დატვირთვით ეთამაშათ, როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში. სწორედ ამ კომპონენტებით გამოირჩეოდა ეროვნული ნაკრების დებიუტანტი მალხაზ ასათიანი, რომელიც ფლობს შესანიშნავ დრიბლინგს, გამოირჩევა ბურთის ზუსტი გადაცემებით და თავით თამაშით.

გვახსენდება საქართველო — რუსეთის მატჩის წინ, რომელიც 2003 წელს გაიმართა, რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვალერი გაზაევის განცხადება: „...საქართველოს ნაკრებს სერიოზულ მოწინააღმდეგედ ვთვლი. გუნდში ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელია. თანაც ხორვატი სპეციალისტის ივო შუშაკისთვის ეს მატჩი პირველია და მისგან გარკვეულ სიურპრიზებს უნდა ველოდოთ.“ მისი სიტყვები მართლაც რომ გამართლდა, საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა რუსეთის ნაკრები, რომელიც ტრადიციულად ქართველი ფეხბურთელებისთვის გადაულახავ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა მანამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ი. შუშაკმა მის ხელთ არსებული ფეხბურთელებისგან ოპტიმალური შემადგენლობა დაადგინა, რომელიც ტაქტიკურად, სტრატეგიულად და ფსიქოლოგიურად კარგად იყო მომზადებული, ჩვენი აზრით, მორალური და მატერიალური თვალსაზრისით დიდი იყო ბადრი პატარკაციშვილის გადაწყვეტილება — გამარჯვების შემთხვევაში ქართველი ფეხბურთელების 100 ათასი ლარით დაჯილდოების შესახებ. ჩვენი ფეხბურთელების გუნება-განწყობილებაზე, ცხადია, ამან გარკვეულწილად კატალიზატორის როლი შეასრულა. საერთოდ, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ფეხბურთს თამაშობდნენ პატრიოტიზმისა და ენთუზიაზმის საფუძველზე. ამჟამად ფეხბურთში განსაკუთრებული ადგილი უკავია მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფის საკითხების დროულ და დადებით გადაწყვეტას. არიან საფეხბურთო კლუბები, რომლებიც ადრე არაფრით გამოირჩეოდნენ, შესაბამისად არც დიდი მიღწევები ჰქონიათ, პოპულარობით ვერ იკვეხნიდნენ, მათ არც არავინ ახსენებდა და სულ მალე ქრებოდნენ საფეხბურთო ჰორიზონტებიდან.

არიან საფეხბურთო კლუბები, რომლებიც საშუალო დონის იყვნენ, მაგრამ ახლა კარგი მენეჯერისა და პატრონის მიერ დაფინანსებისა და მატერიალური უზრუნველყოფის შედეგად, დიდ წარმატებებს მიაღწიეს და ფეხბურთში თავიანთ საფუძვლიან, წონიან და გადამწყვეტ სიტყვას ამბობენ. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ ლონდონის „ჩელსი“, რომელიც ორი წლის წინ ინგლისის პრემიერლიგაში საშუალო დონის გუნდს წარმოადგენდა და არც სატრაბახო არაფერი ჰქონდა. ამჟამად, როდესაც „ჩელსის“ მეპატრონე გახდა ჩუკოტკის გუბერნატორი და რუსეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი, ლონდონელები ინგლისის პრემიერლიგაში, აგრეთვე ევროპის ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზე ღიად და აშკარად აცხადებენ საფუძვლიან პრეტენზიებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იქნებ ქართველმა მილიონერებმა თუ მილიარდერებმა მიბაძონ აბრამოვიჩს, ანელის, ბერლუსკონის და სხვებს და იზრუნონ საქართველოს ფეხბურთისთვის, რომ მათ გამოაცოცხლონ, იმედი ჩაუსახონ და მომავლისადმი ოპტიმისტურად განაწყონ ქართველი ხალხი.

საკითხი, რომ საქართველოს ნაკრებს და პროფესიონალურ კლუბებს ჰყავდეთ მდიდარი მეპატრონეები, რომ მათ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, დაუბრკოლებლად და ღიად შეეძლოთ ფეხბურთში ქველმოქმედება, სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე უნდა გადაწყდეს.

გურამ ჩხიკვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

«შალკემ» ერთპიროვნული ლიდერობა დაკარგა

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

გერმანიის ბუნდესლიგის 26-ე ტურში ლევან კობიაშვილის „შალკე“ სტუმრად დამარცხდა „მაინცთან“ — 1-2. მასპინძლები პირველსავე წუთზე დაწინაურდნენ გერბერის გოლის წყალობით. 70-ე წუთზე ლინკოლნმა თერთმეტმეტრიანით აღადგინა წონასწორობა, მაგრამ ათიოდე წუთში ტურკმა 3 ქულა მოუტანა „მაინცს“. ამ დამარცხებამ „შალკეს“ ერთპიროვნული ლიდერობა დააკარგვინა. მას წამოეწია მიუნხენის „ბაიერნი“, რომელმაც საკუთარ მოედანზე „ჰანზას“ სძლია — 3-1. ორივე გუნდს 53-53 ქულა აქვს.

„მაინცთან“ „შალკე“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: როსტი, კამფუისი, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ვერმანტი (როდრიგესი, 86), კობიაშვილი, ლინკოლნი, ალთინთოფი (პოულსენი, 64), სანდი, აილტონი (ჰანკე, 64).

„ჰანზას“ დამმარცხებელი „ბაიერნის“ შემადგენლობა კი ასეთი იყო: კანი, სანიოლი, ლუსიო, კოვაჩი, ლიზარაზუ, დემიკელისი, დაისლერი (შვაინშტაიგერი, 46), ზე რობერტო, ბალაკი, პისარო, მაკაი (ფრინგსი, 67).

სხვა მატჩები: „ჰანოვერი“ — „მიონხენგლადბახი“ 2-1, „ლევერკუზენი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 2-0, „ჰამბურგი“ — „დორტმუნდი“ 2-3, „ბოხუმი“ — „ვოლფსბურგი“ 5-1, „ნიურნბერგი“ — „ვერდერი“ 1-2, „ჰერტა“ — „არმინია“ 3-0, „შტუტგარტი“ — „ფრაიბურგი“ 1-0.

მომდევნო ტური. 3 აპრილი. „ჰანზა“ — „მაინცი“, „ვოლფსბურგი“ — „ბაიერნი“, „მიონხენგლადბახი“ — „ბოხუმი“, „კაიზერსლაუტერნი“ — „ჰანოვერი“, „არმინია“ — „ლევერკუზენი“, „დორტმუნდი“ — „ჰერტა“, „ფრაიბურგი“ — „ჰამბურგი“, „ვერდერი“ — „შტუტგარტი“, „შალკე“ — „ნიურნბერგი“.

იტალიის სერია „ა“-ს 29-ე ტურში შედგა ცენტრალური მატჩი. — „რომამ“ საკუთარ მოედანზე უმასპინძლა „მილანს“. შევჩენკოს გარეშე მოთამაშე „მილანმა“ მოახერხა მორიგი სამი ქულის მოპოვება — იმარჯვა 2-0. ორივე გოლი კრესპოს ანგარიშზეა. მილანელთა რიგებში კარგად ირჯებოდა კახი კალაძე.

გუნდების შემადგენლობა.

„რომა“: კურჩი, პანუჩი, ფერარი, მექსე, კუფრე (სკურტო, 52), აკვილანი, დაკური, პეროტა, ტოტი, მონტელა (მანსინი, 63), კასანო.

„მილანი“: დიდა, კაფუ, მალდინი, სტამი, კალაძე (კოსტაკურტა, 89), გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, ტომასონი (ამბროზინი, 81), კრესპო (ფ. ინძაგი, 74).

ასევე გამარჯვება მოიპოვა ტურინის „იუვენტუსმა“, რომელმაც საკუთარ მოედანზე დელ პიეროს ერთადერთი გოლის წყალობით — 1-0 მოუგო „რეჯინას“.

30-ე ტურის წინ „მილანსაც“ და „იუვენტუსსაც“ 66-66 ქულა აქვთ. 50 ქულით მესამეზეა „ინტერი“, რომელმაც 3-2 დაამარცხა „ფიორენტინა“.

სხვა მატჩები: „სიენა“ — „ლაციო“ 1-0, „სამპდორია“ — „ატალანტა“ 1-2, „უდინეზე“ — „ლეჩე“ 2-1, „ლივორნო“ — „კალიარი“ 3-3, „პარმა“ — „პალერმო“ 3-3, „მესინა“ — „ბოლონია“ 0-0, „კიევო“ — „ბრეშა“ 3-1.

მომდევნო ტური. 3 აპრილი. „მილანი“ — „ბრეშა“, „ატალანტა“ — „კიევო“, „ბოლონია“ — „ინტერი“, „ფიორენტინა“ — „იუვენტუსი“, „ლაციო“ — „ლივორნო“, „პალერმო“ — „მესინა“, „რეჯინა“ — „პარმა“, „უდინეზე“ — „რომა“, „კალიარი“ — „სამპდორია“, „ლეჩე“ — „სიენა“.

ინგლისის პრემიერლიგის 30-ე ტურში ლონდონის „ჩელსი“ კიდევ უფრო მიუახლოვდა ჩემპიონის ტიტულს. აბრამოვიჩის გუნდმა საკუთარ მოედანზე 4-1 სძლია „კრისტალ პალასს“. მასპინძელთაგან ორჯერ თავი გამოიჩინა კეჟმანმა, თითო გოლი გაიტანეს ლემპარდმა და ჯო კოულმა.

„ჩელსი“: ჩეხი, პაულუ ფერეირა, ტერი, რიკარდო კარვალიუ, გლენ ჯონსონი, მაკელელე, ჯო კოული, ლემპარდი, დაფი (რობენი, 74), დროგბა (ტიაგო, 63), გუდიონსენი (კეჟმანი, 77).

ახლა „ჩელსის“ 77 ქულა აქვს და უახლოეს მდევარს — „მანჩესტერ იუნაიტედს“ 11 ქულით უსწრებს. ალექს ფერგიუსონის გუნდმა კრისტიან რონალდოს ერთადერთი გოლის წყალობით 1-0 დაამარცხა „ფულემი“.

„მანჩესტერ იუნაიტედი“: ჰოვარდი, ბრაუნი, ფერდინანდი, სილვესტრი, ჰაინცე, კრისტიან რონალდო, სქოულზი (ფილ ნევილი, 90), როი კინი, ფორჩუნი, ვან ნისტელროი (სმიტი, 77), რუმი (ოში, 83).

64 ქულით მესამე ადგილზეა ლონდონის „არსენალი“, რომელმაც სტუმრად მინიმალური ანგარიშით (1-0) სძლია „ბლექბერნს“.

სხვა მატჩები: „ბოლტონი“ — „ნორვიჩი“ 1-0, „ჩარლტონი“ — „ვესტ ბრომვიჩი“ 1-4, „ტოტენჰემი“ — „მანჩესტერ სიტი“ 2-1, „პორტსმუთი“ — „ნიუკასლი“ 1-1, „ბირმინგემი“ — „ასტონ ვილა“ 2-0, „მიდლსბრო“ — „საუთჰემპტონი“ 1-3, „ლივერპული“ — „ევერტონი“ 2-1.

მომდევნო ტური. 2 აპრილი. „არსენალი“ — „ნორვიჩი“, „ბირმინგემი“ — „ტოტენჰემი“, „ჩარლტონი“ — „მანჩესტერ სიტი“, „კრისტალ პალასი“ — „მიდლსბრო“, „ფულემი“ — „პორტსმუთი“, „ლივერპული“ — „ბოლტონი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ბლექბერნი“, „ნიუკასლი“ — „ასტონ ვილა“, „საუთჰემპტონი“ — „ჩელსი“, „ვესტ ბრომვიჩი“ — „ევერტონი“.

ისევე როგორც ინგლისში „ჩელსი“ — „მანჩესტერ იუნაიტედს“, ესპანეთის პრიმერადივიზიონში „ბარსელონა“ 11 ქულით უსწრებს მადრიდის „რეალს“. კატალონიელებს 66 ქულა აქვთ, „სამეფო კლუბს“ — 57.

29-ე ტურში „ბარსელონამ“ ალმავლობით ჩაატარა შეხვედრა სტუმრად „დეპორტივოს“ წინააღმდეგ და გაიმარჯვა 1-0. ეს ერთადერთი გოლი ჟიულის ანგარიშზეა.

გუნდების შემადგენლობა.

„დეპორტივო“: მუნუა, კოლოჩინი, ანდრადე, რომერო, სკალონი, ლუკე, სერხი (ფრანი, 56), მაურო სილვა (დუშერი, 71), ვიქტორი (მუნიტისი, 64), ვალერონი, დიეგო ტრისტანი.



„ბარსელონა“: ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, სილვინიო, მარკესი, დეკუ, ჟიული (ხერარდი, 55), ეტო'ო (მაქსი ლოპესი, 90), რონალდინიო

(ინიესტა, 68).

მადრიდის „რეალმა“ ასეთივე ანგარიშით საკუთარ მოედანზე სძლია „მალაგას“. გოლი მე-60 წუთზე რობერტო კარლოსმა გაიტანა.

„რეალი“: კასილიასი, ივან ელგერა, სამუელი, რობერტო კარლოსი, მიჩელ სალგადო (სელადესი, 74), გუტი, ბექჰემი, ფიგუ, ზიდანი, რაული (სოლარი, 82), რონალდო (ოუენი, 85).

სხვა მატჩები: „ბეტისი“ — „ალბასეტე“ 2-1, „ესპანიოლი“ — „სოსიედადი“ 2-2, „მალიორკა“ — „სევილია“ 0-1, „ნუმანსია“ — „რასინგი“ 2-3, „ბილბაო“ — „ლევანტე“ 3-1, „ვალენსია“ — „ხეტაფე“ 3-1, „სარაგოსა“ — „ატლეტიკო“ 0-0.

მომდევნო ტური. 3 აპრილი. „ალბასეტე“ — „რეალი“, „ატლეტიკო“ — „მალიორკა“, „ბარსელონა“ — „ბეტისი“, „სოსიედადი“ — „ოსასუნა“, „რასინგი“ — ესპანიოლი“, „სევილია“ — „ნუმანსია“, „სარაგოსა“ — „ვალენსია“, „ვილიარეალი“ — „ბილბაო“, „ლევანტე“ — „დეპორტივო“, „მალაგა“ — „ხეტაფე“.

საფრანგეთის ჩემპიონატის 30-ე ტურში ერთპიროვნულმა ლიდერმა „ლიონმა“ სტუმრად 1-0 დაამარცხა „სტრასბური“, დააგროვა 62 ქულა და უკვე 11 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს „მარსელს“. ეს უკანასკნელი 1-2 დამარცხდა პრინციპულ მატჩში „მონაკოსთან“.

სხვა შეხვედრები: „ტულუზა“ — „სოშო 0-0, „ბასტია“ — „მეცი“ 1-0, „კაენი“ — „რენი“ 2-2, „ისტრი“ — „ნიცა“ 1-1, „ლანსი“ — „ბორდო“ 2-0, „ნანტი“ — „აიაჩო“ 0-0, პსჟ — „ოსერი“ 1-0, „სტ. ეტიენი“ — „ლილი“ 0-0.

შოთა არველაძის და ზურაბ ხიზანიშვილის „რეინჯერსმა“ შოტლანდიის ლიგის თასი მოიპოვა. ფინალში გლაზგოელებმა „მოზერვილი“ გაანადგურეს — 5-1. ამ მატჩში ქართველებს არ უთამაშიათ.

ფლორენტინო პერესი: „რეალი“ თავის ადგილს დაიბრუნებს

მადრიდის „რეალში“ განვითარებულ ბოლოდროინდელ მოვლენებს ბევრი კლუბის პრეზიდენტის ფლორენტინო პერესის არასწორ პოლიტიკას უკავშირებს. თავად პერესი კრიტიკულ შენიშვნებზე არ რეაგირებს და ყველას არწმუნებს, რომ მადრიდის „რეალი“ მალე დაკარგულ პოზიციებს დაიბრუნებს. გთავაზობთ ფლორენტინო პერესის მიერ „სოკერისათვის“ მიცემულ ინტერვიუს.

◆ ***რა მოსდის მადრიდის „რეალს“?***

— ცხადია, ყველა აალელვა გუნდის გამოთიშვამ ევროპის ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან. ვთვლი, რომ „იუვენტუსის“ გამარჯვება დამსახურებული არ იყო. რაც შეეხება „რეალის“ ასპარეზობას ესპანეთის პრიმერადივიზიონის წლევანდელ გათამაშებაში, მეორე ადგილზე ვართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე დავიბრუნებთ ჩვენთვის შესაფერ ადგილს.

◆ ***რატომ დაიწყო კრიზისი „სამეფო კლუბში“?***

— „მონაკოსთან“ დამარცხების შედეგად მიღებული ფსიქოლოგიური წნეხიდან მოთამაშეები ჯერ არ გამოსულან, პრობლემები შეიქმნა კამაჩოს წასვლასთან დაკავშირებით.

◆ ***არადა, კამაჩო გუნდის გულშემატკივართა სურვილის დასაკმაყოფილებლად მოიწვიეთ გუნდში მაშინ, როცა „რეალის“ პრეზიდენტის წინასაარჩევნო პერიოდი იყო...***

— კამაჩოს მოყვანას არანაირი კავშირი არ ჰქონდა წინასაარჩევნო კამპანიასთან. ჩემი მთავარი ამოცანა გულშემატკივართა ინტერესების გათვალისწინება და მათთვის სიხარულის მოტანაა. კამაჩო კი მოვიწვიეთ, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მივიღეთ. კამაჩოს პატივს ვცემ, მაგრამ რეალობა ასეთია: მან მიგვატოვა.

◆ ***არის თუ არა მოსალოდნელი დიდი ცვლილებები „რეალის“ შემადგენლობაში მიმდინარე წლის ზაფხულში?***

— მადრიდის „რეალი“ ყოველთვის პირველი უნდა იყოს, თუ ასე არ არის, მაშასადამე, მასში რაღაც უნდა შეიცვალოს.

◆ ***ესპანეთში თვლიან, რომ თქვენ საკუთარი შეცდომების აღიარება არ შეგიძლიათ...***

— ასე ყველა არ ფიქრობს. შეცდომები, რა თქმა უნდა, დამიშვია, — მეც ხომ ჩვეულებრივი ადამიანი ვარ... მადრიდის „რეალის“ არაკეთილისმსურველები კი ცდილობენ ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ მომართონ. ზოგიერთები თვლიან, რომ ჩვენ შევცდით მაშინ, როცა ზინედინ ზიდანი მოვიწვიეთ... რეალურად კი, სურათი ასეთია. მადრიდის „რეალი“ ახლა შედარებით ძლიერია, ვიდრე რამდენიმე

წლის წინ იყო.

◆ ***ფერნანდო იეროს აზრით, თქვენი დაშვებული მთავარი შეცდომა მწვრთნელის დელ ბოსკეს გაშვებაში მდგომარეობდა...***

— ფერნანდო იერო მადრიდის „რეალის“ ისტორიის ნაწილია, მაგრამ ის დღევანდელი კრიტიკით ბევრ შეცდომას თავად უშვებს. მას პასუხს არ გავცემ. რაც შეეხება დელ ბოსკეს გაშვებას გუნდიდან, ვთვლი, რომ ჩვენ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ.

◆ ***მაკელელეს გაშვების შემთხვევაშიც?***

— მის გარეშეც კარგ ფეხბურთს ვაჩვენებდით. მაკელელე ძალიან მომწონს, მაგრამ მასზე ცუდ გავლენას ახდენს მისივე გარემოცვა.

◆ ***რაში გამოიხატება თქვენი დამსახურება მადრიდის „რეალის“ წინაშე?***

— ვიდრე კლუბის პრეზიდენტი გავხდებოდი, მადრიდის „რეალი“ საკმაოდ დიდძალ თანხებს ხარჯავდა. იზრდებოდა დავალიანება და ამ პროცესს შეეძლო იქამდე მიეყვანეთ, რომ კლუბს რომელიმე არაბი მილიონერი იყიდიდა. მე შევძელი გამომესწორებინა გუნდს ეკონომიური მდგომარეობა. შევქმენი მოდელი, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს უძლიერესმა მოთამაშეებმა უნდა ითამაშონ „რეალში“, რაც ტიტულების მოპოვების შანსს ბევრად ზრდის.

ანდრეი ბალი უკრაინის ნაკრებს დროებით გაუძღვება

ოლეგ ბლოხინის წასვლის შემდეგ უკრაინის ფეხბურთელთა ნაკრებს დროებით ანდრეი ბალი ხელმძღვანელობს. მან დაასახელა 22-კაციანი სია, რომლებთან ერთადაც მოემზადება მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისათვის დანიელებთან (შეხვედრა 30 მარტს, კიევში შედგება).

მეკარეები: ალექსანდრ შოვკოვსკი, ვიტალი რევა („დინამო“), ვიაჩესლავ კერნოზენკო („დნეპრი“);

მცველები: ანდრეი ნესმაჩნი („დინამო“), სერგეი მატიუხინი, ალექსანდრ რადჩენკო, ვლადიმირ ეზერსკი, ანდრეი რუსოლი („დნეპრი“), ვიაჩესლავ სიდერსკი („სატურნი“, რუსეთი);

ნახევარმცველები: რუსლან ბიდნენკო, სერგეი ნაზარენკო, ალექსანდრ რიკუნი, რუსლან როტანი („დნეპრი“), ანდრეი გუსინი („კრილია სოვეტოვი“, რუსეთი), ანატოლ ტიმოშჩუკი („შახტიორი“), მაქსიმ ბელეცკი („მოსკვა“, რუსეთი), ოლეგ გუსევი (დინამო“).

ფორვარდები: ანდრეი შევჩენკო („მილანი“, იტალია), ანდრეი ვორობეი („შახტიორი“), ალექსანდრ კოსირინი („ჩერნომორეცი“), ანდრეი ვორონინი („ლევერკუზენი“, გერმანია).

ლიპის რჩეულნი

იტალიის ნაკრების თავკაცმა მარჩელო ლიპიმ დაასახელა იმ მოთამაშეთა სია, რომლებიც 26 მარტს დანიშნული შოტლანდიის ნაკრებთან მატჩისთვის მოემზადებიან.

მეკარეები: ბუფონი („იუვენტუსი“), დე სანტინი („უდინეზე“), რომა („მონაკო“);

მცველები: ბარძალი, გროსო ძაკარდო (სამივე — „პალერმო“), ბონერა („პარმა“), ფ. კანავარო („იუვენტუსი“), კიელინი („ფიორენტინა“), მატერაცი („ინტერი“), ნესტა („მილანი“);

ნახევარმცველები: ბარონე („პალერმო“), ბლაზი, კამორანეზი (ორივე — „იუვენტუსი“), დე როსი („რომა“), გატუზო, პირლო (ორივე — „მილანი“);

თავდამსხმელები: ტოტი, მონტელა, კასანო (სამივე — „რომა“), ესპოზიტო („კალიარი“), ჯილარდინო („პარმა“), ტონი („პალერმო“).

რიო ფერდინანდი: „მე „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ არ მივდივარ“

ინგლისური საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველმა რიო ფერდინანდმა განაცხადა, რომ ის არ უღალატებს თავის გუნდს და სხვა კლუბებიდან ყველა წინადადებას უარყოფს.

„ბოლო პერიოდში პრესაში გაჩნდა ინფორმაციები, თითქოსდა ჩემით მადრიდის „რეალია“ დაინტერესებული. გეუბნებით, არავითარი მსგავსი არ ყოფილა. მე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშე ვარ და ნებისმიერ წინადადებაზე უარს ვიტყვი“, — განაცხადა რიო ფერდინანდმა.

„ნიუკასლი“ გივენს არ ჰყიდის

საფეხბურთო კლუბ „ნიუკასლის“ პრეზიდენტმა ფრედი შეფერდმა განაცხადა, რომ გუნდის გოლკიპერი შეი გივენი არ იყიდება. შეგახსენებთ, რომ ამ მოთამაშით დაინტერესებულნი არიან „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“.

„ვილიარეალი“ მეოთხედფინალშია

გაიმართა უეფას თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი „ვილიარეალსა“ და „სტიაუას“ შორის. როგორც ცნობილია, პირველი მატჩი რუმინეთში ფრედ 0-0 დასრულდა. „ვილიარეალმა“ განმეორებითი შეხვედრა 2-0 მოიგო და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

ნბა

ყველაზე მეტი მოგება „მაიამის“ აქვს

ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატში მორიგი მატჩები გაიმართა. ზედიზედ მეცხრე თამაში წააგო „იუტამ“, რომელმაც ამჯერად დაძაბულ პაექრობაში ვერაფერი გააწყო „ვაშინგტონის“ წინააღმდეგ — 95:96

„იუტას“ ვერ უშველა რუსი ფორვარდის — ანდრეი კირილენკოს შედეგიანობამ: მან 28 ქულა დააგროვა, 7-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 6 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

„მაიამის“ კალათბურთელებმა კი ზედიზედ მეთორმეტე მატჩი მოიგეს — შაკილ ონილმა და მისმა „კომპანიამ“ წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა „ნიუ იორკს“ — 97:82. შაკილ ონილის ანგარიშზეა 33 ქულა, მან 17-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. უეიდმა 30 ქულა შესძინა „მაიამის“.

„დალასმა“ იოლად მოუგო აუტსაიდერ „შარლოტას“ — 104:93, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის დირკ ნოვიცკის. ამ კალათბურთელის ანგარიშზეა 33 ქულა.

„ფილადელფიამ“ საკუთარ მოედანზე მარცხი განიცადა „ჩიკაგოსთან“ — 88:94. მასპინძელთა გუნდს ვერც აივერსონის 31-მა ქულამ უშველა და ვერც დალემპერტმა, რომელმაც „ფილადელფიას“ 16 ქულა შესძინა და 17-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

„პორტლენდმა“ ასევე შინ 5 ქულით წააგო „ორლანდოსთან“ — 92:97.

„კლიპერსსა“ და „საკრამენტოს“ შორის გამარჯვებული დამატებითმა დრომ გამოავლინა, რომელშიც უფრო ზუსტნი სტუმრები აღმოჩნდნენ — „საკრამენტომ“ 111:107 იმარჯვა.

გუშინ კიდევ რამდენიმე მატჩი გაიმართა ნბა-ში. „დეტროიტმა“ საკუთარ მოედანზე სძლია „სან ანტონიოს“ — 110:101. მასპინძელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო ბილაპსი — 25 ქულა.

„მინესოტამ“ გარნეტის (30 ქულა) კარგი თამაშის წყალობით დაამარცხა „ჰიუსტონი“ — 94:86. ზაზა ფაჩულიას „მილუოკი“ სტუმრად დამარცხდა „დენვერთან“ 103:114, „სიეტლმა“ კი ლოს-ანჯელესში მოახერხა ადგილობრივი „ლეიკერსის“ დამარცხება — 102:100.

სხვა მატჩები: „საკრამენტო“ — „გოლდენ სტეიტი“ 94:104, „ტორონტო“ — „კლივლენდი“ 105:98, „ინდიანა“ — „ნიუ ჯერსი“ 85:94, „მემფისი“ — „ფინიქსი“ — 91:97.

აღმოსავლეთ კონფერენციაში „მაიამი“ ლიდერობს, რომელსაც 52 გამარჯვება აქვს მოპოვებული. დასავლეთ კონფერენციაში კი პირველ ადგილზეა „სან ანტონიო“ 50 გამარჯვებით.

ალონსოს მალაიზური ტრიუმფი

„ფორმულა-1“-ის წლევანდელი სეზონის რიგით მეორე ეტაპი — მალაიზიის გრან პრი ესპანელმა ფერნანდო ალონსომ მოიგო. „რენოს“ პილოტმა ძირითადი რბოლა კუალა ლუმპურის ტრასაზე, პირველი პოზიციიდან დაიწყო. ეს იმიტომ, რომ ალონსომ საუკეთესო დრო აჩვენა საკვალიფიკაციო რბოლებში. ძირითად რბოლაში გამარჯვების მოპოვება ესპანელს, შეიძლება ითქვას, არ გასჭირვებია. ყოველ წრეზე უფრო და უფრო ზრდიდა მანძილს უახლოეს მდევრებთან.

საბოლოოდ ალონსომ მთელი დისტანციის გავლას 1 საათი, 31 წუთი და 33,73 წამი მოანდომა. ფინიშთან მეორე მიიჭრა „ტოიოტას“ პილოტი იარნო ტრული, ხოლო მესამე იყო ნიკ ჰაიფელდი („უილიამსი“). რაც შეეხება მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს — „ფერარის“ პილოტს მიხაელ შუმახერს, მან ძირითადი რბოლა მე-13 პოზიციიდან დაიწყო და საბოლოოდ მე-7 შედეგი აჩვენა. როგორც ჩანს, „ფერარის“ საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვს.

ამრიგად, ორი ეტაპის შემდეგ 16 ქულით ფერნანდო ალონსო წლევანდელ საჩემპიონო რბოლაში დაწინაურდა. მომდევნო ეტაპი 3 აპრილს ბაჰრეინში ჩატარდება.

რბოლის შემდეგ ფერნანდო ალონსომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „რენომ“ კიდევ ერთხელ დაანახვა ყველას, რომ გამარჯვება შეუძლია. ეს იყო ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო რბოლა. მინდა, რომ ეს ჩემპიონატი პირველ პოზიციაზე დავასრულო.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგაცნობთ მალაიზიის გრან პრის ტექნიკურ შედეგებს:

1. ფერნანდო ალონსო („რენო“) — 1:31.33,736;
2. იარნო ტრული („ტოიოტა“) — +0. 24,300;
3. ნიკ ჰაიდფელდი („უილიამსი“) — +0.32,100;
4. ხუან პაბლო მონტოია („მაკლარენი“) — +0.41,500;
5. რალფ შუმახერი („ტოიოტა“) — +0.51,700;
6. დევიდ კულტჰარდი („რედ ბული“) — +1.12,300;
7. მიხაელ შუმახერი („ფერარი“) — +1.19,700;
8. კრისტიან კლიინი („რედ ბული“) — +1.20,500;
9. კიმი რაიკონენი („მაკლარენი“) — +1.21,200;
10. ფელიპე მასა („ზაუბერი“) — ჩამორჩენა ერთი წრ
11. ნარაინ კარტიკეიანი („ჯორდანი“) — +2 წრე;
12. ტიაგო მონტეირუ („ჯორდანი“) — +3 წრე;
13. კრისტიან ალბერსი („მინარდი“) — +4 წრე.

ფინიშამდე ვერ მიაღწიეს: რუბენს ბარიკელომ („ფერარი“
მარკ ვებერმა („უილიამსი“), ჯანკარლო ფიზიკელამ („რენო“
ჟაკ ვილნევმა („ზაუბერი“), ენტონი დევიდსონმა („ბარი“
ჯენსონ ბატონმა („ბარი“), პატრიკ ფრიზახერმა („მინარდი“

რეიტინგები... რეიტინგები...

გუშინ გამოქვეყნდა ატპ-სა და ვტა-ს მორიგი რეიტინგები ჩოგბურთელებისათვის. ქალთა შორის 5233 ქულით კვლავ პირველ ადგილზეა ამერიკელი ლინდსეი დევენპორტი. მის გარდა პირველ ათეულში შედიან: 2. ამელი მორესმო (საფრანგეთი) – 4890, 3. მარია შარაპოვა (რუსეთი) – 4662, 4. სერენა უილიამსი (აშშ) – 4535, 5. ელენა დემენტიევა (რუსეთი) – 3884, 6. ანასტასია მისკინა (რუსეთი) – 3358, 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) – 3323, 8. ალისია მოლიკი (ავსტრალია) – 2630, 9. ვენუს უილიამსი (აშშ) – 2520, 10. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) – 2234.

ვაჟთა სამეული კი ასე გამოიყურება: 1. როჯე ფედერერი (შვეიცარია) – 6050, 2. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) – 4305, 3. ენდი როდიკი (აშშ) – 3955. ფედერერი წლევანდელ საჩემპიონო რბოლასაც ლიდერობს 350 ქულით და 97 ქულით უსწრებს ლეიტონ ჰიუიტს.

კლიისტერსი გამარჯვებით დაბრუნდ

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის — ბელგიელ
კიმ კლიისტერსის დაბრუნება დიდ ჩოგბურთში წარმატ
ბული გამოდგა. ინდიანა-უოლესის ტურნირი სწორე
კლიისტერსმა მოიგო. ფინალში მისი მეტოქე იყო ნა
დეშისა და მარია შარაპოვას დამმარცხებელი ლინდს
დევენპორტი. ამ უკანასკნელმა ფინალური მატჩიც კარგა
დაიწყო: პირველ სეტში, ერთ მომენტში 4:0 იგებდ
მაგრამ ამის შემდეგ კლიისტერსმა შეძლო თამაშ
გარდატეხის შეტანა და საბოლოო გამარჯვების მოპოვებ
— 6:4, 4:6, 6:2. ტურნირის საპრიზო ფონდი 2 მილიო
100 ათასი დოლარი იყო.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



22 მარტი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „პროფესიონალი“ — ავტომრბოლელი (23.00). **რუსთავი-2.** ქართული ფეხბურთის მიმოხილვა (15.25). **იმედი.** პროგრამა „გოლი“ (17.25). გოლი სერია „ა“. იტალიის ჩემპიონატი (2.05). *НТВ плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 16.00, 18.30, 22.20). საფრანგეთის (13.00), ესპანეთის (14.00), რუსეთის (15.00), ლიბერტადორესის თასის (18.00), იტალიის (20.30), ინგლისის (21.25), გერმანიის (22.35), ლიბერტადორესის თასის (0.05) ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა. მინიფეხბურთი. უეფა-ს თასი. მე-2 რაუნდი. ბელორუსიის „დოროჟნიკი“ — უკრაინის „შახტარი“ (18.25), ესპანეთის „ელ პოსო“ — რუსეთის „დინამო“ (18.55). ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (23.35). კალათბურთი. ნბა (3.00, 3.30, 4.30, 5.00, 7.00, 8.00). *НТВ плюс спорт.* ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი (14.00, 20.00). სამბო. რუსეთის ჩემპიონატი (23.30). სახანძრო-გამოყენებითი სპორტი. რუსეთის შეჯიბრება (23.30). წყალში ხტომა. გრან პრი. ესპანეთი. ვაჟები. ქალები (0.15). EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატები და თასი (10.30, 12.30, 15.30, 18.30, 20.30, 21.30). ფეხბურთი. ევროგოლები (11.30, 16.30). კრივი. პროფესიონალები (22.30, 23.00). ევროსპორტის ახალი ამბები (2.00). ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. კლასიკა (2.15).

23 მარტი, ოთხშაბათი

НТВ плюс футбол. თავისუფალი დარტყმა (12.00, 16.15, 19.30, 22.30). ლიბერტადორესის თასი. ჩილის „კობრელია“ — კოლუმბიის „ონსე კალდასი“ (12.15, 19.50). მინიფეხბურთი. უეფას თასი. მე-2 რაუნდი. რუსეთის „დინამო“ — უკრაინის „შახტარი“ (14.00). იტალიის (15.15), ინგლისის (17.00), გერმანიის (18.00), ლიბერტადორესის თასის (19.00), საფრანგეთის (21.35) ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა. ლიბერტადორესის თასი. ჩილეს „კობრელია“ — კოლუმბიის „ონსე კალდასი“ (19.50), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი. მერვედფინალი. გერმანიის „ბავარია“ — ინგლისის „არსენალი“ (22.45). კალათბურთი. ნბა (3.00, 3.30, 4.00, 5.00, 6.00, 6.30). *НТВ плюс спорт.* სამბო. რუსეთის ჩემპიონატი (11.45). ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი (14.00, 20.00). „ყველაზე ღონიერი ადამიანი ბაგამის კუნძულებზე“ (19.30). წყალში ხტომა. საერთაშორისო გრან პრი. ქალები, ვაჟები. ფინალები (0.30). EUROSPORT. ყველაფერი სპორტზე (11.00, 12.00). ფეხბურთი. ევროგოლები (16.00). ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (20.30). საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო თასი (22.15). ყველაფერი სპორტზე. ყოველკვირეული მიმოხილვა (0.45), ევროსპორტის ახალი ამბები (1.15). ფეხბურთი. უეფა, ჩემპიონთა ლიგის კლასიკა (1.30, 2.30).

24 მარტი, ხუთშაბათი

НТВ плюс футбол. თავისუფალი დარტყმა (12.00, 15.45, 22.15). მინიფეხბურთი. უეფას თასი. მე-2 რაუნდი. რუსეთის „დინამო“ — ბელორუსიის „დოროჟნიკი“ (12.15). ლიბერტადორესის თასი. ჩილეს „კობრელია“ — „ონსე კალადასი“ (14.00). განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (16.00). ჰოლანდიის ჩემპიონატი. „აიაქსი“ — პსვ (17.45). ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი. მერვედფინალი. ინგლისის „ლივერპული“ — გერმანიის „ბაიერი“ (21.25). რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (23.35), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.35). კალათბურთი. ნბა (3.00, 3.30, 5.30, 6.00, 8.30). *НТВ плюс спорт.* ყველა სტილის კარატე. რუსეთის ჩემპიონატი (11.15). ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი (14.15). „ატრ“-ის საჩოგბურთო მიმოხილვა (18.00). ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (19.30). სინქრონული ცურვა. საერთაშორისო ტურნირი (22.15). EUROSPORT. ყველაფერი სპორტზე (12.00). ფეხბურთი. მსოფლიო თასი. გერმანია (15.30, 16.30). კრივი. პროფესიონალები (20.30). ევროსპორტის ახალი ამბები (1.00), საბრძოლო ხელოვნების ოსტატები. სუპერლიგა (1.15). ევროსპორტის ახალი ამბები (3.15).

კროსვორდი

თარაზულად: 1. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 3. საქართველოს პირველობის დას. ზონაში მოასპარეზე საფეხბ. გუნდი, 5. ცნობილი საბჭოთა ძალოსანი, 8. მოჭადრაკე კასპაროვის სახელი, 10. „ბოხუმის“ ფეხბურთელი, 11. მოკლე შარვალი, 12. ჭადრაკში, ჩოგბურთში და ა.შ. შეფასების ინდივიდუალური კოეფიციენტის სისტემა, 14. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 16. ნბა-ს კლუბი, 18. ჩინელი მოჭადრაკე ქალი, 20. მწვერვალი კავკასიონზე, 23. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 25. ვეტერანი ქართველი მოფარიკავე, 26. საჭადრაკო ფიგურა, 30. საგანი, რომელსაც ესტაფეტაში გადასცემენ ერთმანეთს მორბენლები, 31. „იუვენტუსის“ ყოფილი მწვრთნელი, 32. გამარჯვების ქალღმერთი, 33. სამაგიდო თამაში, 34. წარსულში ფეხბურთისა და ჰოკეის თამაშით ცნობილი რუსი სპორტსმენი, 35 საქართველოს რეგიონი.

შვეულად: 2. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 3. წარსულში ცნობილი გერმანელი მოჭადრაკე, 4. წყალში ხტომაში არადრეკადი „ტრამპლინი“, 5. „მალაგას“ ფეხბურთელი, 6. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 7. ქართული ცხენოსნური თამაში, 9. სათამაშო გუნდური სახეობა, 13. „ბარსელონას“ ფეხბურთელი, 15 ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 16. ბედიღბლის ღვთაება, 17. ქართული ხალხური თამაშობა ქამრებით, 19. ლეგენდარული იტალიელი საფეხბურთო მსაჯი, 21. ტრაგიკულად დაღუპული „ფახთაქორის“ ერთ-ერთი ფეხბურთელი, 22. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 24. ევროპის ცნობილი ქალაქი, 25. ლეგენდარული რუსი მარათონელი, 27. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 28. სეოკ-ის პრეზიდენტი, 29 ქუთაისის სარაგბო კლუბი.



მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 4. ლიპი, 6. კოკა, 8. „ადანა“, 10. სარჩუ, 12. ჰარტსი, 13. ობოლაძე, 17. ტოკიო, 21. კილაძე, 22. ტოპალოვი, 24. მაისური, 26. მაჩაიძე, 27. დანი, 28. სენა.

შვეულად: 1. ბოუ, 2. „ნანტი“, 3. „ლაციო“, 4. ლასლო, 5. „პარმა“, 7. „ალანია“, 9. ბურე, 11. მატჩი, 24. ბლოხინი, 15. ლეილა, 16. ძუნძული, 19. კორაჩი, 20. პარტია, 23. სამბო, 24. მეფე, 25. „რენი“.

მონაკოს საჭადრაკო ტურნირ

**მონაკოში დიდოსტატების მონაწ
ლეობით მიმდინარეობს საჭადრაკ
ტურნირი სახელწოდებით „ამბერი
მონაწილენი თამაშობენ როგორც ჩვ
ულებრივ, ასევე სწრაფ ჭადრაკს. ორ
ტურის შემდეგ ჩვეულებრივ ჭადრაკშ
ორ-ორი ქულა აქვთ პეტრ სვიდლერს
ვლადიმირ კრამნიკს და ვიშვანათან ა
ანდს. სწრაფ ჭადრაკში ქულათა მა
სიმუმი ანანდს აქვს. ინდოელი დიდ
სტატი საერთო ჩათვლაში პირვე
ადგილზეა ოთხი ქულით. მას ნახევარ
ქულით ჩამორჩება პეტრ სვიდლერი, 2,
2,5 ქულა აქვთ ევგენი ბარეევს, ვლა
დიმერ კრამნიკსა და ვასილი ივანჩუკ**

რუმინელებმ

უკრაინელები გაანადგურ

გაიმართა ევროპის ერთა თასი
გათამაშების მორიგი ტურის მატჩებ
რაგბიში. თბილისში დამარცხებულ
რუმინეთის ნაკრებმა 97:0 გაანადგურ
ჯგუფის აუტსაიდერი — უკრაინის ნა
კრები. ჩეხებმა კი საკუთარ მოედანზ
რუსებს სძლიეს — 11:7.

სატურნირო ცხრილში 4-4 თამა
შიდან 10-10 ქულით პირველ-მეორ
ადგილებს საქართველოსა და რუმინე
თის ნაკრებები იყოფენ. 3 თამაშიდა
9 ქულა აქვთ პორტუგალიელებს.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი

(1988 წ.)



შამათი 2 სვლაში

№20-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.ლa1!

1. ..... ეa3 2. baX, 1. ..... ეb4 2. b3X, 1. ..... ეb5 2. b4X, 1. ..... ეc3 2. bcX, 1. ..... e5 2. ეd5X, 1. ..... e2 2. ლg1X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport@hotmail.com